საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 17 იანვარი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი ხორცელ გვერდზე ზეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი ზეტიტ. 100 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

№ 1 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 12

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობა აცნობებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 18 იანვარს, დღის 12 საათზე, მამა დავითის ეკლესიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ ცნობის გამო გადახდილ იქნება პანაშვიდი საქართველოს თავისუფლების მოტრფიალე მგოსანთა

ილიას, აკაკის

და საზოგადო მოღვაწის

დიმიტრი ყიფიანის

სულის მოსახსენებლად. (214—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამი, მამა ლაზარე, ძმა მირონი, რძლით და დებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

საშა ლაზარეს ძე ცაგლიაშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ ბინაზე (თელავის შესახვევი № 5) 5 საათიდან 6 საათამდე. დაკრძალვა, შაბათს, 17 იანვარს, პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში. (175—4—3)

გულდათუთქული ქმარი ნიკ. გრ. მაყაშვილი და დები: ნინა, მარიამი, დარია და ეკატერინა აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

ნატალია ნიკოლოზის ასულის მაყაშვილისას

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 17 იანვარს (ახ. სტ.) წმინდა ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 12 საათზე გოგოლის ქ. № 55. (213 1—1)

ღრმად დაწუხებულნი: ქვრივი ფატი შალამბერიძის ასული, შვილები: კატო, მიშა და ჯავო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას იანვრის 18 ს (ახ. სტ.) დანიშნულია გარდაცვალებიდან ორმოცი დღის პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

გიორგი დავითის ძე ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადახდილ იქნება [illegible], საკუთარ სახლში. (201—2—1)

დამწუხრებული ნათესავები და მეგობარ-ამხანაგები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, იანვრის 17 ქ. ზუგდიდში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასის, ტრაგიკულად გარდაცვლილის

პაპაი ქავთარაძის

სულის მოსახსენებლად. (216 1—1)

დამწუხრებული დები მაშო გიგინეიშვილისა, მატრონა დუმბაძისა, სიძე პლატონ გიგინეიშვილი და დისწულები ნესტორ და დავით დუმბაძენი გულითად მადლობას უცხადებენ ყველა მათ, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება ძვირფასი

კატო ყარამანის ასულის მამულაიშვილი-ხოდნევას

უდროოდ დაკარგვის გამო. (217 1—1)

დაობლებული შვილები თამარა, კოტე და თინა ხოდნევები გულითად მადლობას უცხადებენ ყველა მათ, ვინც პირადი დასწრებით, დეპეშით და წერილობით მონაწილეობა მიიღო და მით შეუმსუბუქა მათი ძვირფასი დედის

კატოს

უდროოდ დაკარგვა. (217 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა დავით გიორგის ძე, დედა ეფემია გრიგორის ასული, ძმა დავით დავითის ძე, ბიძა ლევარსამე გიორგის ძე ბალდავაძენი და მამიდა ეფუსი გიორგის ასული ნიკოლაიშვილისა აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და ამხანაგებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ სახალხო გვარდიელის

აკაკი დავითის ძე ბალდავაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება 17 იანვარს, დღის 3 საათზე ს. ზენობანში, წმინდა სამების ეკლესიის გალავანში. (ნ. 1—1)

ქვრივი ეკატერინე მაქსიმეს ასული, შვილი [illegible], ძმები: გიორგი და ნიკიტა და და ანასტასია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხვალ კვირას, 18 იანვარს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და მათთვის დაუვიწყარი

პავლე სპირიდონის ძე ჩიტაიას

სულის მოსახსენებლად. ქ. ფოთი, სასაფლაოს ეკლესია. (315—1—1)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის

სამაზრო კომიტეტი

17 იანვარს იწვევს მაზრის ორგანიზაციათა

კოლექტივების პარტიულ ყრილობას

დღიური წესრიგი: 1) მოხსენება სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) მიმდინარე მომენტი, 4 ორგანიზაციული მუშაობა, 5) სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება, 6) კომიტეტის არჩევა. ყრილობა გაიხსნება დილის 12 საათზე სამაზრო ერობის ბინაზე, რუსთაველის პროსპ. № 6. კომიტეტის პრეზიდიუმი. (145 5—5)

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისათვის საჭიროა

გამოცდილი ტაბელჩიკი

პირობების გაგება შეიძლება დილის 9 საათ. შუადღის 2 საათამდის. (ნ. 1—1)

მუშათა კლუბი

წარმოდგენა № 10. (პლეხანოვის პროსპ. № 123).

კვირას, 18 იანვარს 1920 წ. მუშათა ცენტრალურ კლუბთან არს. ქართული დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ნიკ. გირგვზელის ახალი ორიგინალური პიესა თანამედროვე ცხოვრებიდან

ნიღაბ-ქვეშ

რეჟისორი ალ. გუგუშვილი. დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. წრის ადმინისტრაცია. (212 2—1)

დრამატიული საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველი საგნებია: 1) მიღება ახალ წევრებისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) არჩევნები ახალი გამგეობისა, 4) მიმდინარე საკითხები. კრება შედგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. (171—5—3)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.)

იყიდება

„ზუდკა" თავის მოწყობილობით, მუშტაიდის შესახვევი № 11 იკითხეთ იქვე ელისაბედის ქუჩა № 202. (170—4—4)

ექიმი ხარიტონ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან. ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიული და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914) მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

## ცენტრის მოვალეობა პროვინციის წინაშე

ჩვენი სახელმწიფოებრივობის განმტკიცება, რომლის უტყუარი მაჩვენებელიც არის საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, ერთის მხრით, მთელი ქვეყნის ძლიერ სახელმწიფოების მიერ და, მეორეს მხრით, მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხის წარმომადგენლობის—ინტერნაციონალის მიერ, ნაყოფია უმთავრესად ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის სახელმწიფოებრივ შეგნებისა. ეს შეეხება არა მარტო მოწინავე დემოკრატიას, ქალაქის მუშებს და ქალაქს ახლო მდებარე ადგილების მცხოვრებთ. ჩვენს გამარჯვებაში არა ნაკლები წილი უდევს შორეული პროვინციის დემოკრატიასაც. იმ ხვრევა-რყევის დროს, რომელსაც მსოფლიო კრიზისის გამო განიცდის ჩვენი ქვეყანა, მან დიდი მოთმინება და სიმტკიცე გამოიჩინა და დიდი მსხვერპლი მიიტანა რევოლიუციის სამსხვერპლოზე. სამართლიანობა მოითხოვს, რომ შორეული პროვინცია, მისი დემოკრატია მონაწილე გახდეს იმ სიხარულისა და იმ ზეიმისა, რომელსაც განიცდის დღეს ქალაქის და ქალაქთან ახლო მდებარე ადგილების დემოკრატია. ჩვენ დროში ისე იშვიათია კმაყოფილება და სიხარული, რომ ყველას უფლება აქვს მასში მონაწილეობა მოითხოვოს. წარმოიდგინეთ ის აღფრთოვანებული მისალოცი დეპეშები, რომელსაც პროვინციიდან გზავნიან ცენტრისაკენ დამოუკიდებლობის ცნობის გამო, და ერთ რამეში დარწმუნდებით. უდიდესი დანაშაული იქნებოდა ცენტრის მხრით, რომ ამ აღფრთოვანების მიზეზი მან რაც შეიძლება სწრაფად და საჩქაროდ მთელ ჩვენს ქვეყანას არ მოჰფინოს, რომ სიხარულის იმავე გრძნობამ სხივებივით არ ჩაანათოს ყოველ ჩვენის მოქალაქის გულში, უკეთეს მომავლის იმედი არ გაუღვივოს მას და წელში არ გაასწოროს.

ამ მხრივ ჯერ-ჯერობით არაფერი კეთდება, ამაზე არავის არ უფიქრია. სიხარულმა და ზეიმმა ცენტრში დაჩრდილა მისი უწმინდესი მოვალეობა. დარწმუნებულნი ვართ (და ამის საბუთიც გვაქვს), რომ ჩვენი ქვეყნის შორეულ პროვინციამდის, რომელიც რკინის გზას დაშორებულია, ჯერ არც კი მისულა სასიხარულო ამბავი, და სადაც მისულა, მისი მნიშვნელობა ისე არ არის შეგნებული, როგორც ეს საჭიროა. იმისთანა დაშორებულ კუთხეებში, როგორიც არის დუშეთის, თელავის, სიღნაღის, თიანეთის, რაჭის მაზრები, თუშ-ხევსურეთი და სვანეთი, ჩრდილო ნაწილები გორის მაზრისა, დარწმუნებული ვართ, ჯერ არც კი გაუგონიათ ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცების ამბავი.

ეს გარემოება კი დიდათ საზარალოა არა მარტო იმ მხრივ, რომ შორეული პროვინცია ამით მოკლებულია იმ სიხარულს და ზეიმს, რომელზედაც მას ცენტრზე ნაკლები უფლება არა აქვს; მარტო ამ ზნეობრივ მომენტს კი არა აქვს აქ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. პროვინციის მოწყვეტილობა ცენტრისაგან უფრო რეალურ შედეგების მხრივ არის ჩვენთვის საზარალო.

ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას უმთავრესად ის მნიშვნელობა აქვს, რომ თვით ჩვენი ხალხი დარწმუნდება, რომ ჩვენი რესპუბლიკა ნამდვილი სახელმწიფოა, ყველას მიერ ცნობილი და, როგორც ყოველი სახელმწიფო, ხელშეუხებელი. ჩვენ ხალხში გაიზრდება რწმენა, რომ ის წესი, რომელიც დღეს გვაქვს, ხვალ არ წაიშლება პირველ მტაცებლის ძალადობის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველს მოქალაქეს შეუძლიან საშვილიშვილო და სამკვიდრო მუშაობის და შემოქმედების დაწყება და არ უნდა ეშინოდეს მის ნამუშევარის განადგურებისა. ეს რწმენა მოკლე დროში რეალურ ნაყოფს გამოიღებს: ჩვენში გაძლიერდება მსხვილ ფარგლებში დაწყებული აღებ-მიცემობა, სხვადასხვა კუთხეების ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლა, სერიოზული მრეწველობა; ხალხში დაიბადება იმედი, რომ ყველა ამ საქმიანობის ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფათ ჩვენ გვაქვს მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ძლიერეს სახელმწიფოების მიერ [illegible] მიჩნეული. ამნაირ სახელმწიფოსათვის, მის გასაძლიერებლათ და მოსაწესრიგებლათ არავინ არ დაიშურებს მსხვერპლს, არავინ აღარ იფიქრებს, ვაი თუ ის ხარჯი, ის გადასახადები, ის შეგარა, რომელსაც ვიღებ, წყალში გადაყრილი გამოდგეს, ვაი თუ ის სახელმწიფო, რომლისთვისაც ყველა ამას ვიხდი, ხვალ დაინგრიოს რომელიმე გარეშე ძალამ. „რწმენა მთებს აძრავებსო": ჩვენი სახელმწიფოსადმი რწმენა გაამრავლებს და გაათკეცებს იმ ძალას, რომელიც მას აქვს.

მაშასადამე, რაც უფრო საჩქაროდ ვამცნობთ ხალხს ჩვენი რესპუბლიკის საისტორიო გამარჯვებას, რაც უფრო სწრაფად ჩავუნერგავთ ხალხს რწმენას ჩვენ სახელმწიფოსადმი, მით უფრო დიდ ნაყოფს მოვიმკით დამოუკიდებლობის ცნობით.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენმა ცენტრმა გამოსწოვა პროვინციის მთელი ინტელექტუალური ძალები. დღეს, ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის გამო, ერთი რამ მაინც უნდა გააკეთოს ცენტრმა: მან უნდა სწრაფად დაგზავნოს პროვინციის ყველა ადგილებში მთელი რაზმი აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისა და ფართოდ ამცნოს ხალხს ის ამბავი, რომელიც ჩვენი ზეიმის მიზეზათ გადაიქცა. ხალხმა უნდა ზედმიწევნით შეიგნოს, რას ნიშნავს დიდ სახელმწიფოთა მიერ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა. უნდა დაიბეჭდოს მილიონობით გაზეთები, ფურცლები, ბროშურები და გაიგზავნოს ხალხში ისე, რომ არ დარჩეს არც ერთი თუნდაც ყველაზე მიყრუებული პროვინცია, არც ერთი თუნდაც ყველაზე შეუგნებელი მოქალაქე, რომ ნათლად და ზედმიწევნით არ ჰქონდეს წარმოდგენილი 12 იანვარს მოსულ ცნობის მნიშვნელობა.

ამ მხრივ მთავარი მოვალეობა, რასაკვირველია, ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა იკისროს. იგი პასუხისმგებელია ყველა მცხოვრებთა წინაშე და ყოველ მცხოვრებს უფლება აქვთ მოსთხოვოს მას, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ აცნობოს ხალხს ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცების ამბავი. დამფუძნებელ კრებას უნდა მხარი დაუჭიროს ადგილობრივმა თვითმართველობამ, რომელიც ყველა ორგანიზაციებზე უფრო დაახლოვებულია ხალხთან. ყველა ჩვენმა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ფართო მუშაობა უნდა გასწიონ ამ ამბის ხალხში მოსადებათ.

## ზუგდიდის სამაზრო ერობის არჩევნები

ზუგდიდის სამაზრო ერობას თავიდანვე განკერძოებული ადგილი ეჭირა. ის მუდამ კონფლიქტის ბუდე იყო და ამ კონფლიქტებში ჩაიხრჩო. ყველა ერობები თავის ადგილზე, ყველა ერობების რწმუნების ვადა დამფუძნებელმა კრებამ კიდევ ერთი წლით გააგრძელა, რომ ახლადგაზრდა ერობებს საშუალება ჰქონოდა დაწყებული საქმეები მოეგვარებინა, შესაფერი გზები და მდგომარეობა შეექმნა და ასე ერობების მუშაობა და საქმიანობა მტკიცე ნიადაგზე დაეყენებინა. თან ისიც იყო მხედველობაში მიღებული, რომ ხშირი არჩევნები, გარდა იმისა, რომ იწვევს ზედმეტ ხარჯებს და ენერგიის ხარჯვას, ხალხს თავს აბეზრებს და ასე ხელს უწყობს არჩევნებისადმი ინდიფერენტიზმის გაძლიერებას.

ამ დადგენილების თანახმად ყველა ერობები განაგრძობენ თავის მძიმე და ნაყოფიერ მუშაობას. არც შეიძლებოდა სხვაფრივ. ჩვენი ერობები ჯერ კიდევ საქმეების დაწყობა მოწყობის პროცესშია. ის ჯერ კიდევ არ გასცნობია საფუძვლიანად ყველა იმ მოვალეობებს, რომლებიც მას აკისრია და თუ გასცნობია ჯერ კიდევ შესაფერი გზებისა და საშუალებების ძებნაშია. და ამ დროს ახალი არჩევნების დაწყება, ახალი პირების არჩევა, ისედაც მცირე ძალების საქმეზე მოგლეჯა და არჩევნებში ჩაბმა—ეს იქნებოდა შეუწყნარებელი, თუ გნებავთ, დანაშაულიც.

მაგრამ ასე არ ფიქრობდა მხოლოდ ერთად ერთი ერობა. ეს იყო ზუგდიდის. ამ ერობაში თავიდანვე ისეთი ძალთა განწყობილება ჩამოვარდა, რომ ყოველგვარი შემოქმედებითი მუშაობა არარაობამდე იქნა მიყვანილი, სრულიად ლოღიკურად თავის უარყოფამდე მივიდა და კიდევაც დაიშალა თავის ნებით და სურვილით.

როგორი იყო ეს ძალთა განწყობილება? ხმოსანთა უმრავლესობას შეადგენდენ სოციალისტ-რევოლიუციონერები. ეს ერთად-ერთი ერობა იყო, სადაც უმრავლესობა ესერებს ეკავათ. ამიტომაც ასე საცოდავი იყო ამ ერობის მოღვაწეობა, ამიტომაც ასე უბადრუკად დალია დღენი თვისნი. ზუგდიდის ერობა და მისი მოღვაწეობა ნათლად გვიჩვენებს, თუ რას ნიშნავს ესერების ბატონობა, და თუ ზუგდიდის მაზრას სურს თავის საქმეების მოწყობა, მან ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოიცილოს თავიდან ეს გზა აბნეული პარტია.

რაკი ხმოსანთა უმრავლესობას ესერები შეადგენდენ, ცხადია, პასუხისმგებლობაც მათვე უნდა ეკისრათ. ისინი კი როდი მოიქცენ ასე. მათ უარი განაცხადეს გამგეობის შედგენაზე და თავმჯდომარის ადგილი ჩვენს, უმცირესობაში მყოფ, პარტიულ ამხანაგებს დაუთმეს. ჩვენმა ამხანაგებმაც დაუშვეს შეცდომა და ეს პოსტი ჩაიბარეს. აქედან იწყება დაუსრულებელი შეხლა-შემოხლა გამგეობისა და ხმოსნებთა შორის.

ხმოსანთა უმრავლესობა ოპოზიციაში ჩაუდგა გამგეობას და რადგან გამგეობას ხმოსანთა ყრილობის დაუდასტურებლათ არც ერთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო, ხოლო გამგეობის ნაბიჯები არას დროს არ მოსწონდა ამ უმრავლესობას, ერობის მუშაობაც ამ შეხლა შემოხლაში ჩაიფლო და ასე ყოველგვარი დადებითი მუშაობა არარაობად იქცა.

საქმის გამოკეთება შეეძლო ფედერალისტების ფრაქციას. მაგრამ, როგორც საერთოდ სჩვევია ამ პარტიას, ის მუდამ ორჭოფობდა, მუდამ ირყეოდა და მათთან შეუძლებელი შეიქნა უმრავლესობის შედგენა.

პირიქით, უკანასკნელად გადამწყვეტი როლიც ითამაშა ერობის დაშლაში. ინიციატორი ამ დაშლისა იყვნენ იგივე ესერები, გადამწყვეტი კი ფედერალისტები.

მკითხველს, უეჭველია, ახსოვს უკანასკნელი ინციდენტი, რომელმაც გადასწყვიტა ერობის ყოფნა არ ყოფნის საკითხი.

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ერთდროული გადასახადი. რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვდა ამ გადასახადის დაწესებას. და აი როცა სამაზრო ყრილობას თავის ხვედრი გადასახადი უნდა გაენაწილებინა მცხოვრებთა შორის, ესერებმა გადასწყვიტეს რესპუბლიკის გასაჭირის გამოყენება თავის პარტიული კაპიტალის გასადიდებლად. ამ მიზნით ისინი შეუდგნენ აგიტაციას გადასახადის წინააღმდეგ. ჯერ ხალხში და შემდეგ ყრილობაზე, სადაც მათ წინადადება შეიტანეს გადასახადი არ გაეწერათ და ხალხს არ გადაეხადა. როდესაც ეს კითხვა კენჭის საყრელად დაისვა—ესერებმა ხმა მისცეს წინადადებას, (12 ხმა), სოციალ დემოკრატებმა საწინააღმდეგოთ—9 ხმა. ფედერალისტებმა თავი დაიჭირეს (8 ხმა). ამ რიგათ ფედერალისტების თავის დაჭერამ უმრავლესობა მისცა ესერებს და გადასახადიც უარყოფილ იქნა. ცხადია, კანონის ასეთ აშკარა დარღვევას, რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესების ასე უდიერათ გათელვას და ლალვას ვერ იკისრებდა გამგეობა და მისი თავმჯდომარე; ამის ასრულება შეუძლებელი იყო და აი ისიც გადადგა.

ჩვენმა ფრაქციამ წინადადება მისცა ესერებს თვით შეედგინათ გამგეობა და ასე თავის დადგენილება თვითონვე მოეყვანათ სისრულეში. რა შეიძლება ამის წინააღმდეგ? სრულიად არაფერი. თუ დადგენილება მიზანშეწონილათ მიგაჩნია, მისი ასრულებაც უნდა გინდოდეს. ესერებმა ეს არ მოისურვეს, უარი განაცხადეს გამგეობის შედგენაზე, არც თავის დადგენილება წაიღეს უკან და ასე დაასაფლავეს ერობა სრულიად უპასუხისმგებლო პირებმა.

25 ამ თვეს დანიშნულია ახალი არჩევნები. ამ არჩევნებში ეხლა არაა ეს უპატრონო პარტია შეეცდება დაბალი ხარისხის დემაგოგიით ერთხელ კიდევ შეიყვანოს ხალხი შეცდომაში და მათი გულის მოსაგებათ ერთხელ კიდევ შეპირდებიან ხალხს ყოველგვარი გადასახადის გარეშე ოქროს სასახლეების აშენებას. მაგრამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ ზუგდიდის ამომრჩევლები ახლა ისე ადვილათ არ წამოეგებიან მათ ანკესზე და ამ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობით მათ დამარცხებას უზრუნველყოფენ.

ერობა ეს ხალხის მართველობის ადგილობრივი უმაღლესი ორგანოა. ესერებმა მოჰკლეს ერთი ერობა, მათ უნდა წაერთვას საშუალება მოჰკლან მეორე.

არც ერთი ხმა მათ, არც ერთი ხმოსანი მათი.

განი.

## „ნიჩევო"..

(„ვოლის როსიის" საყურადღებოდ)

ამ საერთაშორისო ომის დროს ერთმა ნაპიერმა ფრანგმა მწერალმა შესაფერად

2852
1057

# დღეს

საზავო ხელშეკრულება უნგრეთთან მზათ არის.

ერთა ლიგას შეუერთდა ისპანია, შვეცია, ნორვეგია და დანია.

საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ მოსკოვს გაემგზავრა ლატვიის დელეგაცია.

საფრანგეთის სენატის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლეონ ბურჟუა.

ქალაქი ფიუმე იტალიას გადაეცემა.

დაიფასა მაშინდელი რუსეთის მმართველი წრეების აზროვნება. ბ-ნი შნელი სწერდა: „საკვირველი ხალხია რუსეთის ბიუროკრატები. მათ ვარშავა მეტად მნიშვნელოვან ქალაქად მიაჩნდათ და მას განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევდენ. ხოლო როდესაც ის გერმანელებმა აიღეს, ბიუროკრატებმა სთქვეს: რა არის ვარშავა? უბრალო სახლების გროვა, რომელსაც ქალაქი ჰქვიან. ამისთანა რამ ბევრი გვაქვს რუსეთში. ბრესტ-ლიტოვსკი, მათის აზრით, კარი იყო რუსეთის, უდიდესი ციხე-სიმაგრე, მეტად შეიარაღებული, მიუვალი. ხოლო როდესაც ის გერმანელებმა აიღეს, მაშინ რუსის ბიუროკრატებმა გამოაცხადეს: ეს არაფერია—„ნიჩევო“. ბრესტ-ლიტოვსკი ციხე კი არა, უბრალო ქვების და რკინის გროვა იყო. ამ მასალას სადაც გვინდა იქ მოვაგროვებთ და ციხე-სიმაგრე გამოვა“.

ბევრი რამ გამოიცვალა ამ საერთაშორისო ომის და მსოფლიო რევოლიუციის დროს. ყველა მოაზროვნე ადამიანი ახალი მოვლენების წინაშე დააყენა და აუარებელი მასალა მისცა, როგორც მის გონებას, ისე მის სულიერ განცდას. აუარებელი კერპები დაინგრა, კაცობრიობა ახალ ღმერთებს ქმნის და მას მსხვერპლად სწირავს თავის აუარებელ შვილებს. რუსის ბიუროკრატი კი არხეინად არის. მან თავისებურად შეითვისა ებრაელთა მეფის სიტყვები: ყველაფერი არარაობაა ამ ქვეყანაზეო. ამას ის ხატავს ძველი სიტყვებით: „ნიჩევო“.

„გოლოს როსიის“ (რომელიც ბაქოში გამოდის) თანამშრომლები ამ რამდენიმე დღის წინ სწერდენ მოკავშირეებზედ, რომ ისინი დაადგნენ გერმანელების გზას და რუსეთს დაყოფით ემუქრებიანო. მათ უღალატეს რუსეთსო (ესე იგი მოხალისეთა ლაშქარს) ამას რუსეთი (ესე იგი ძველი ბიუროკრატები) ვერ მოითმენენო. საქმემ მეტათ სერიოზული ხასიათი მიიღო. ჩვენ ველოდით ბაქოში მოკალათებულ ბიუროკრატების დემონსტრაციებს, მათგან მოწყობილ მრავალ-რიცხოვან მიტინგებზე გამოტანილ რეზოლიუციებს, ულტიმატუმს მოკავშირეთა მიმართ. ერთნაირი შიშიც ვიგრძენით. (ძველმა გრძნობამ გაიღვიძა, როდესაც ბიუროკრატების ცოტა არ იყოს გვეშინოდა,) მაგრამ გუშინდელმა „გოლოს როსიის“ წაკითხვამ დაგვამშვიდა. ის სწერს: საქართველო და ადერბეიჯანი იცნეს დამოუკიდებლათ. ეს არაფერია. ორი წლის წინადაც საქართველო დამოუკიდებელი იყო. „ნიჩევო“!..

ბ. თეკლათელი.

# პრესა

„აზხატავორი“ (№ 13) მეთაურში, სხვათა შორის, სწერს შემდეგს:

„საქართველომ და აზერბეიჯანმა უარყვეს ჩიჩერინის წინადადება, სხვა გვარი პასუხის მოლოდინში არც კი უნდა ყოფილიყო ჩიჩერინი.

„თვითგამორკვეულ ერებს, რომლებმაც დიდი შრომით შესძლეს უზრუნველეყოთ თავიანთი დამოუკიდებლობა, დღეს საბუთი არ აქვთ ჩაერიონ რუსეთის შინაურ საქმეებში.

„ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისათვის „სოვდეპია“ ან „დობროვოლია“ მხოლოდ მეზობელი ქვეყნებია, რომლებთანაც უნდა ვეცადოთ დავამყაროთ მხოლოდ კეთილმეზობლური დამოკიდებულებანი.

„უცნაურია, რომ ჩიჩერინი, რომელმაც პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ პოლონეთი, ინგლისი და საფრანგეთი ერევიან რუსეთის საქმეებში, წინადადებას აძლევს საქართველოს და აზირბეიჯანს ჩაერიონ რუსეთის საქმეებში.

„ეკონომიური და ის საშინელი მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ბოლშევიკურ რუსეთში, უმთავრესად მშრომელი მასსების ეკონომიის სრული დაქსაქსვა და შიმშილი, ცხადი მაგალითია იმისა, თუ რას უნდა ელოდეს ჩვენი ქვეყანა, უკეთუ ჩაერეოდა რუსეთის სამოქალაქო ომში.

„შეიძლება გვითხრან, რომ ჩვენი დემოკრატიის რევოლიუციონური მოვალეობაა ხელი შევუწყოთ რეაქციონური ძალების დამარცხებასო, მაგრამ გვეპატიოს, თუ კომუნიზმის ებლანდელი მოციქულნი არ ვიწამოთ: არც ენვერი, ნური და მუსტაფა ქემალ ფაშა, არც თურქესტანის და ინდისტანის ხოჯები და მოლები, არც მათთან დაკავშირებული კომუნისტების ულტრა-რევოლიუციონური სწადვაწეობა.

„ამიერ-კავკ. დემოკრატიამ იცის, თუ რაა დამალული პანისლავისტების „რევოლიუციონურ“ მოღვაწეობაში და რისთვის გვაფრთხილებს ჩიჩერინი მივიღოთ მისი წინადადება „მანამ, სანამ ჯერ გვიანი არ არის“.

„ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთის მმართველებმა, დაბოლოს უნდა გაიგონ, რომ დროა ხელი აიღონ იმ პოლიტიკისაგან, რომელიც ხიშტებით აწყობს რევოლიუციას ან ამყარებს ბოლშევიკურ წეს-წყობილებას „მანამ, სანამ ეს გვიანი არ არის“.

***

„ადერბეიჯანი“ დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ სწერს:

„ამიერიდან ადერბეიჯანის და საქართველოს რესპუბლიკები საერთაშორისო ოჯახში შევლენ. ერთი და იგივე გადაწყვეტილება მიიღეს სხვა და სხვა სახელმწიფოებმა. და ეს კი მომასწავებელია იმისა, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკებმა თავის მცირე ხნის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობით დაამტკიცეს თავის უნარიანობა და ძალა, რომელსაც ანგარიში არ შეიძლება არ გაეწიოს. ახალგაზრდა რესპუბლიკების ხალხები, რომელთაც გადაიტანეს თავიანთ თავზე დიდი საფრთხეები, ამაყათ შეხვდებიან თავიანთ პოლიტიკურ თავისუფლების ამომავალ მზეს. მათი დამოუკიდებლობის აღიარება ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათ წინაშე დასახული მიზნები ამოიწურა. ეს მხოლოდ ბაზაა, რომელზედაც შეიძლება ნაყოფიერი მუშაობის წარმოება. მხოლოდ ეხლაა შესაძლებელი ინტენსიური მუშაობის გაღვივება, რომელიც მიმართული იქნება შინაური ცხოვრების ისეთი საჭირო ნორმების გამოსამუშავებლად, რომელიც უზრუნველყოფს ერების მომავლის ბედნიერათ მოწყობას“.

შემდეგ გაზეთი სწერს, რომ ადერბეიჯანის ხალხს ახლა მეორე დიდი საქმე აქვს დასაკეთებელი,—ეს არის დამფუძნებელ კრების მოწვევა.

# დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომა

14 იანვარი.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის სიტყვების შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა. პირველათ ილაპარაკა ამხ. აკაკი ჩხენკელმა.

სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ვუერთდები იმ სალამს, რომელიც იყო წარმოთქმული ჩვენი თავმჯდომარის მიერ, როგორც მოკავშირეთა, ისე მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ, მაგრამ სალამი, ჩვენი თაყვანისცემა ეკუთვნის ყველაზე წინ თვით საქართველოს ხალხს, ქართველ ერს, რომელმაც თავისი სასიქადულო საქმეებით, გმირობით ოქროს ასოებით აღბეჭდა დღევანდელი ფურცელი მის ისტორიაში.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ერით, მისი დემოკრატიით, მისი მშრომელი მასით, რომელმაც თავისი მაჯით, თავისი მოქმედებით გამოსჭედა საქართველოს სახელმწიფოებრივობა, მისი უზენაესობა, მისი მომავალი.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ მას ამ უკანასკნელ ხანებში მოკავშირე არა ყავდა. ის პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა მოქმედება, იყო კრიტიკული, განსაკუთრებული, მიუხედავათ ამისა, მან თავი დააღწია იმ უბედურებას, რომელიც მას უნდა დასტეხოდა თავზე და ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. როდესაც მე საქართველოს ხალხზე, ერზე, მის მუშათა კლასზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია არ მოვიხსენიო მისი ბელადი, რომელმაც ის აღზარდა. (აქ ორატორი მიუბრუნდება მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას და შემდეგი სიტყვებით მიმართავს:)

ჩვენო დიდო ნოე! შენ იყავი ჩვენი პარტიის ბელადი და მამა, შენ აღზარდე ის, ის დააყენე იმ გზაზე, რომელზედაც სდგას დღეს, შენ ხარ დღეს ქართველი ერის, მთელი საქართველოს ბელადი და მამა, ვაშა შენ! (აქ მთელმა დარბაზმა ტაშით იგრიალა).

თქვენ დამეთანხმებით, ბატონებო, რომ ეს საზეიმო დღე უნდა იქნეს რითიმე აღნიშნული, უნდა შეემსუბუქდეს ხვედრი იმათ, ვინც ციხეებში და საპყრობილეებში არიან. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა მივანდოთ მთავრობას, რომ მახლობელ დღეებში წარმოგვიდგინოს პროექტი დატუსაღებულთა და პყრობილთა ხვედრის შემსუბუქებისა.

მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე სათანადო დეპეშას გაუგზავნის პარიზის უმაღლეს საბჭოს, რომელმაც იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, მე იმედი მაქვს, აგრეთვე, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი შესაფერ დეპეშას გაუგზავნის ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ-კერზონს, რომელმაც აღძრა საკითხი ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ.

როგორც იცით ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი თავისუფლება იცნო პარიზის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც არის წარმომადგენელი 22 სახელმწიფოსი. ამის შემდეგ მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ პატარა ერებიც როგორიც არიან: სერბია, ბელგია და სხვები იცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მოგვივა ცნობა ნეიტრალური სახელმწიფოებიდანაც.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვარჩევთ ფაქტიურ და ფორმალურ ცნობას შორის განსხვავებას, ჩვენმა ერმა ფაქტიური ცნობა დაიმსახურა თავისი მუშაობით, მოქმედებით. ჩვენ ისიც ვიცით, თუ რას ნიშნავს ინგლისის მიერ ფაქტის აღიარება. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის მთელი კანონმდებლობა ემყარება ფაქტიურ მდგომარეობას, ადათებს, ზნე ჩვეულებას და სხ. ასე რომ ჩვენ ამ ფაქტიურ ცნობაში ვგულისხმობთ ფორმალურ ცნობასაც.

შემდეგ ორატორი ეხება იმ ვალდებულებებს, რომელსაც გვაძლევს მიღებული უფლება და ამბობს: მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება და მთავრობა პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას საერთაშორისო ოჯახში.

ჩვენ ვხდებით აგრეთვე წევრი ევროპასათვის სანატრელ ხალხთა ლიგისა; ის ეხება რუსეთთან ურთიერთობას და იმ ნოტას, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა სამხედრო კავშირი შემოგვთავაზა და ამბობს: ბოლშევიკებს ჩვენი კავშირი იმიტომ ესაჭიროებათ, რომ გზა გაიხსნან აზიისაკენ. თქვენ იცით პასუხი ჩვენი მთავრობისა. მათ მიერ შემოთავაზებულ კავშირში ჩვენ არ შეგვიძლია რუსის ხალხთან შეხვედრა. რუსეთის მუშათა დემოკრატიის წარმომადგენლებს უკვე შევხვდით ინტერნაციონალში და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსეთის ხალხის კანონიერ წარმომადგენლებს ჩვენ შევხვდებით საერთაშორისო ოჯახში. (ტაში). მე მგონია, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა სათანადო შთაბეჭდილებას მოახდენს იმ ელემენტებზე, რომელიც აქ ცხოვრობენ და დღემდე ვერ შეიგნებიან საქართველოს დამოუკიდებლობას.

მაშასადამე, ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხი გვესმის ასე, ამ გვარათ, ამ საკითხის შესახებ რყევა, ლაპარაკი, კამათი, შეუძლებელია, არის პარტიები, არის სოციალური ბრძოლა, ხშირათ დიდათ სასტიკი, დიდათ მწვავე, მაგრამ ყოველ ერს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას უკვე აქვს სახელმწიფო, ის წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზმს, მაშინ არის ერთი რამ, რომლის შესახებ დავა არ შეიძლება: ეს არის სახელმწიფოს არსებობა, ერის არსებობა, იქ არ არის მარცხენა, მარჯვენა, ცენტრი, ის ერთია: გამომხატველი ერის სულისკვეთებისა, მისი ძალღონისა, გამომჭედი მისი მომავლისა. დღეს კი, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ფაქტიურათ აღიარებულია უკვე, შეგვიძლია სრული იმედი გამოვსთქვათ, რომ ის გადავა მძლავრ, სტიქიურ ძალათ ჩვენს ხალხში, მის ფსიქოლოგიაში, მას ვერ დაანგრევს, ვერ წაშლის ვერავითარი ძალა და თუ საფრთხე დადგება, მაშინ ისე, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს გაისმა ძახილი: სამშობლო განსაცდელშია, ჩვენი ერიც დაიძახებს: „სამშობლო განსაცდელშიაო“ და ვიცით, ჩვენი ერის, მისი დემოკრატიის უმაგალითო სახალხო გვარდია და სახელოვანი ჯარი, ეროვნული დროშით, რომელიც დღეს შეკავშირებულია წითელ დროშასთან, დაიცავს მის ინტერესებს, არსებობას, მის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას (ტაში).

(დასასრული იქნება).

# ო. უორდროპის წერილი ა. ი. ხატისოვისადმი

ბრიტანეთის მთავარი კომისარის ოლივერ უორდროპის ყურამდე მიაღწია იმ ამბავმა, რომ სომხების წრეებში დიდი მითქმა-მოთქმას იწვევს სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების დაგვიანება. ამის შესახებ უორდროპმა 15 იანვარს, დილით შემდეგი წერილი გაუგზავნა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვს.

15 იანვარი 1920 წ.

ძვირფასო ხატისოვ!

მე ძლიერ შეწუხებული ვიყავ, შევიტყე რა თქვენგან, რომ თქვენი თანამემამულენი შეძრწუნებულნი არიან იმ გარემოებით, რომ ამ ჟამად აღიარეს ფაქტიურათ დამოუკიდებლობა მხოლოდ საქართველოსი და ადერბეიჯანისა. ჩემის აზრით, ამ ცნობას სულ სხვა გვარი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. სომხეთის საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია ოსმალეთის საკითხთან და მალე გადასწყდება ოსმალეთთან ზავის შეკვრისას; მანამ მე კი არ მაქვს რწმუნება რაიმე განვაცხადო ოფიციალურათ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. თვით ის ფაქტი, რომ საქართველო და ადერბეიჯანი ოფიციალურათ აღიარეს, არის დამამტკიცებელი იმისა, რომ სომხეთის ხალხს არ აქვს არავითარი საბაბი უკმაყოფილების და აღელვების. როგორც თქვენ იცით, მე აქ ჩამოსვლისათანავე სომხეთის საქმეებს ისევე ვეპყრობოდი, როგორც საქართველოს და ადერბეიჯანის საქმეებს და მომავალშიაც ასე ვიმოქმედებ. სომხეთის ხალხის უფლება მოკავშირეების სახელმწიფოების მოღვაწეთა მიერ არა ერთხელ აღიარებულა საჯაროთ, ასე რომ, de facto მისი უფლებების აღიარებას აღარ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა; ახლა გასაკეთებელია მხოლოდ ის, რომ გამოიძებნოს ისეთი ფორმულა, რომლითაც აღიარებული იქნება ეს დამოუკიდებლობა. ჩემის აზრით, არ არის არავითარი საბუთი აღელვებისა. სრული იმედი უნდა იქონიოთ, რომ მოკავშირეები სომხის ხალხს სამართლიანად მოეპყრობიან. ჯერ-ჯერობით არ უნდა ითქვას ის, რაც წინ უსწრებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნება მოკავშირეების მიერ.

თქვენი ერთგული ო. უორდროპი.

# უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკები და ახალგაზრდა ოსმალები.

ბერლინის გაზეთი „ნეი ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტტაგ“-ი იტყობინება, რომ ოსმალეთის ყოფილი დიდი ვეზირი თალაათ ფაშა ამ ჟამად ბერლინში იმყოფება და განზრახვა აქვს ბოლშევიკების ცნობილ ბელად რადეკთან ერთად გაემგზავროს რუსეთში.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

16 იანვარი.

ცნობები სადგურიდან

... (დასაწყისი არ მ გვილია) ... ქალაქი ფიუმე გადაცემული იქნება იტალიის სუვერენიტეტში. ფიუმეს ნავთსადგურის ახლო მდებარე ტერიტორიის ანექსიას მოახდენს იტალია, მაგრამ იმ პირობით, რომ ეროვნებათა ლიგა სამხრეთ-სლავიასა და უნგრეთს ამ ოლქში კომერციულ უფლებათა გარანტიას აძლევს. ფიუმე-ლიუბლიანა-ლაიბახის რკინის გზა მიეკუთვნება სამხრეთ სლავიას. რაც შეეხება ზარას, მას ერთა ლიგასაგან მიეცემა გარანტია იმისა, რომ მან თავისი სურვილით ამოირჩიოს ის სახელმწიფო, რომელსაც იგი თავისი ინტერესების დაცვას მიანდობს.

ფრანგული კრების ცნობები

სამშაბათს შესდგა ახალი სენატის პირველი სხდომა. ელზას-ლოტარინგიელ სენატორებს დიდის ზეიმით შეეგებნენ.

სენატის თავმჯდომარეთ ამოირჩიეს ლეონ ბურჟუა. ამგვარათ, საფრანგეთის მაღალმა კრებამ თავისი ღრმა პატივისცემა გამოხატა ერთა ლიგაში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენლის მიმართ.

სენატის სხდომა მოხდა ოთხშაბათ საღამოს. ცოტა ხნის თათბირის შემდეგ სასამართლომ 17 თებერვლისათვის დანიშნა კაიოს პროცესის გარჩევა.

ჯერჯერობით დაღუპულ გემ „აფრიკიდან“ გადარჩენილია 40 კაცი. მაშველი ნავები ნავთსადგურში დაბრუნდნენ.

დეპუტატთა პალატის 1920 წლის სესიის პირველ სხდომაზე 455 ხმიდან 445 ხმით თავმჯდომარეთ კვლავ დეშანელი ამოირჩიეს.

პარიზის მეორე კონფერენცია, რომელიც ადრიატიკის საკითხს არჩევს, გრძელდება. მონაწილეობს სამი მინისტრი. ხვალ არის ხელშეკრულება უნგრეთთან.

უნგრეთთან საზავო ხელშეკრულების ტექსტი იმ სახით, როგორც ეს სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა, ხუთშაბათ საღამოს გადაეცემა უნგრეთის დელეგატებს.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: მოკავშირეთა საზღვაო კომისია ამირალ შარიტონის მეთაურობით კვირის ბოლოს პორტსმუტიდან მიემგზავრება კილში, რათა თვალყური ადევნოს საზღვაო ხელშეკრულების პირობების ასრულებასო.

„სამის“ კონფერენციის სხდომაზე ორშაბათს გამომუშავებულ იქნა ადრიატიკის საკითხის გადაწყვეტის პროექტი, რომელიც დაუყონებლივ ჩააბარეს სამხრეთ-სლავიის დელეგატებს. უკანასკნელებმა შესაძლებლად ვერა სცნეს მისი მიღება. მათ ტექსტი დეპეშით აცნობეს თავის მთავრობას, რომლის პასუხსაც ელიან.

ხუთშაბათ დილით პარიზში ჩამოვა ლორდ გრეი, რათა შეერთებულ შტატებში მყოფ მისი მისიის შესახებ დაწვრილებით მოელაპარაკოს ლოიდ-ჯორჯსა და ლორდ კერზონს.

პარასკევს ლეონ ბურჟუას თავმჯდომარეობით ერთა ლიგის აღმასრულებელი საბჭოს პირველი სხდომა მოხდება. დაესწრებიან ლორდი კერზონი, ვენიზელოსი და გეიმანი. იაპონია იქნება წარმოდგენილი მატსუით. კლემანსომ ცნობა მიიღო, რომ ერთა ლიგას შეუერთდა ისპანია, შვეცია, ნორვეგია, დანია.

შაბათს ლოიდ ჯორჯი ვერსალის სასახლეში დაესწრება პრეზიდენტის არჩევას.

ხუთშაბათს კლემანსო, ლოიდ ჯორჯი, ნიტი, მატსუი და ჟილესი გრაფ აპონიის თავმჯდომარეობით მყოფ უნგრეთის დელეგაციას გადასცემენ ზავის პირობებს, პარასკევს აპონი უნგრეთს აცნობებს საქმის მდგომარეობას. თავის შენიშვნები მან უნდა წარმოადგინოს 15 დღის განმავლობაში.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. 15 იანვარი. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ დაადგინა: ა) დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა შეწყდეს სიკვდილით დასჯა, საგანგებო კომისიათა დადგენილებით. ბ) მიენდოს ძერჟინსკის წინადადებით მიმართოს კომისართა საბჭოს და სამხ. აღმ. კომიტეტს, სრულიად მოისპოს სიკვდილით დასჯა არა თუ საგანგებო კომისიათა, არამედ თვით უზენაესი ტრიბუნალის დადგენილებითაც.

ველიკიე ლუკი 13 იანვ. რიგის გაზეთი „ბალტიის ვესტნიკი“ სწერს: ლატვიის დელეგაციას, რომელიც მოსკოვს გაემგზავრა, დავალებული აქვს არა მარტო გაცვლისა და გადახვეწილთა დაბრუნება, არამედ რუსეთთან სხვა გვარ დიპლომატიურ მოლაპარაკების წარმოებაც. უნდა აცნობოს მოსკოვის მთავრობას, რომ ლატვიის მთავრობას არა აქვს რუსეთის წინააღმდეგ არავითარი აგრესიული ზრახვები, რომ მისი სურვილია მხოლოდ ლატვიის აღდგენა.

მოსკოვი, 15 იანვ. სრულიად რუსეთის პროფ. კავშირთა კრება დანიშნულია პირველ მარტს.

იურიევი, იანვ. 13. გაზ. „ფორვერტს“-ის ცნობით ქ. ბუდაპეშტში 6000 სოც იქნა სიკვდილით დასჯილი. ქალაქის განაპირა ტყეებში მრავლად ხვდებიან ჩამოხრჩობილ კომუნისტთა გვამებს. მღელვარება ქალაქში კვლავ გრძელდება, ვინაიდან ხმებია რევოლიუციონერთა ახალი გამოსვლის შესახებ. მოსკოვი. იანვ. 16- სამხედრო ცნობები, იანვ. 15. ნარვის რაიონში ჩვენს მხარეზე 60 ჯარისკაცი გადმოვიდა. რეჟიცის რაიონში ბრძოლა გრძელდება. იაკობშტატის მიმართულებით, რკინის გზის ორივე მხარეზე ომი სწარმოებს. მოზირისა და ნოვოგრად-ვოლინის რაიონებში ადგილობრივი ხასიათის შეტაკებებია. ჩვენმა ჯარმა აიღო ქალაქი უმანი და ნიკოპოლი. ჯარი წინსვლას განაგრძობს. მელიტოპოლის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ნოვოჩერკასკის რაიონში, აზოვ სტაროჩერკასკაიას უბანში ბრძოლა სწარმოებს მდინარე დონზე გადასასვლელ ადგილებისათვის. ბრძოლის შედეგი ჯერ არ ვიცით. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზის რაიონში ჩვენ ავიღეთ სადგ. კოტელნიკოვო და მტერი სამხრეთისაკენ უკუ ვაქციეთ. ეისკის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა დაამარცხა მტრის მესამე ყუბანის დივიზია და წამოიყვანა 500 ტყვე. მტერი სამხრეთისაკენ გაიქცა. სტანიცა ატამანსკაიას აღმოსავლეთით ჩვენ ავიღეთ სად. კისელევკა. ენოტაევის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა გასწმინდა მტრისაგან ველი 190 ვერსის მანძილზე.

# ახალი ამბები

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი და ადმინისტრაციის ინსპექტორი გეგელაშვილი სამსახურის საქმეების გამო ქუთაისში გაემგზავრენ.

◆ სატარიფო პალატამ შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა თფილისის ქალაქის გამგეობას: სატარიფო პალატის ამა წლის 12 იანვრის დადგენილებით, თფილისის ყველა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ქირად ამა წლის 1 იანვრიდან დაწესებულია 60 პროცენტიანი მომატება. სამუშაო ქირის ცალკე ტარიფების დამტკიცება მინდობილი ჰქონდა პალატის პრეზიდიუმს. უცდება რა ტარიფების გადასინჯვასა და დამტკიცებას, სატარიფო პალატის პრეზიდიუმი ამით წინადადებას აძლევს კერძო დაწესებულებათა პატრონთ და საზოგადო დაწესებულებებს დაუყოვნებლათ მუშებსა და მოსამსახურეთ 1 იანვრიდან მისცენ 60 პროცენტი მომატება. დამტკიცებული ახალი ტარიფები ამ მოკლე ხანში იქნება დაგზავნილი.

◆ ქართული მუსიკალური საზოგადოება გადავიდა ახალ ბინაზე (პეტრიდის ქ. № 8). ქართული მუსიკალური საზოგადოების გამგეობას განზრახული აქვს თავისი სასწავლებელი გადააკეთოს უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლათ.

◆ აწყვეტა საერობო თემების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერობების ყველა გამგეობებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა: შინაგან საქმეთა სამინისტ. კანცელარია გთხოვთ დაჩქარებით გვიპასუხოთ: 1) მოეწყო თუ არა თქვენს მაზრაში თემები და თუ არა რა მიზეზით? 2) რამდენი თემია მაზრაში (საჭიროა თემების სია) 3) რომელ სოფელშია თემის გამგეობა. 4) გაქვთ თუ არა დებულება თემებისათვის. თუ გაქვთ (ან დებულება ან გეგმა დებულებისა) დაჩქარებით გამოგვზავნეთ ერთი ცალი. 5) საჭიროა გამგეობის აზრი თემების მუშაობის შესახებ. რა ნაკლი აქვს, რა ღირსება, რა აბრკოლებს მათ მუშაობას და სხვა.

◆ თფილისის სახლის პატრონთა კავშირმა გადასწყვიტა გახსნას თფილისში სატყეო მასალის საწყობი, საიდანაც სახლის პატრონთ შეღავათიან ფასებში მიაწოდებს მასალებს. ამას გარდა ხსენებულმა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა თფილისის ქალაქის მოურავის წინაშე, რათა მან დახმარება გაუწიოს მათ და ქალაქის გამგეობის სახელით შუამდგომლობა აღძრას მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ უკანასკნელმა სახელმწიფო ტყეებიდან და სატყეო ქარხნიდან მისცეს მათ მასალები იაფ ფასებში.

◆ ახალ ქალაქის აფთიაქის ასახადგენად. შინაგან საქმეთა სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა პროვიზორ ი. ალხაზიშვილს მიეცეს 20,000 მანეთი ერთი წლით სესხად.

◆ იმ ერობების გამგეობებს, რომლებიც სესხს თხოულობენ მთავრობისაგან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი აცნობა: 1) თუ სესხი ესაჭიროება ერობას წარსული წლის დეფიციტის დასაფარავად, იმ შემთხვევაში ერობამ უნდა წარმოადგინოს ყველა გასამართლებელი საბუთები გაწეულ ხარჯებისა და ვალის რაოდენობისა; 2) თუ სესხი საჭიროა რაიმე სამშენებლო მიზნისთვის, იმ შემთხვევაში საჭიროა შუამდგომლობასთან ერთად ტეხნიკური გამოკვლევა და დაწვრილებითი ხარჯთ აღრიცხვა; 3) თუ სესხი საჭიროა სათესლე ხორბლისათვის და სურსათის შესაძენათ,—ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოლაპარაკებას გამართავს მომარაგების სამინისტროსთან სესხათ ფულით ან სურსათის სახით მიცემის შესახებ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საჭიროებების თაობაზე შუამდგომლობა ცალცალკე უნდა იყოს აღძრული საჭირო მასალების თანდართვით. ის შუამდგომლობანი, რომლებიც არ დააკმაყოფილებენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

◆ დალაქების ამქართა მამასახლისი კ. თანდილოვი მადლობას უცხადებს გარდაცვალებულ ფარამზ ფანოიანცის ძმებს ა. და ნ. სარქისიანებს, რომელთაც განსვენებული დის სახსოვრად ამქართა კასას შესწირეს 50 თუმანი.

◆ გულწრფელ მადლობას ვუცხადებ ტრამვაის იმ მუშებს, რომლებმაც აღმომიჩინეს დახმარება 334 მანეთით. მადლობას მოგახსენებ აგრეთვე ესტატე ლოლაძეს. იასონ თუთარაშვილი.

◆ ტრამვაის პარკში. შაბათს, 17 იანვარს შუადღის 12 საათზე ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოხსენებას გააკეთებს „მიმდინარე მომენტზე“ ამხ. გრ. აიოლლო. სთხოვენ ამხანაგ მუშებს გამოცხადდენ.

◆ „განათლება“. გამოვიდა და იყიდება ჟურ. „განათლება“ 1919 წ. № 3 შეიცავს 118 გვერდს და ღირს 25 მან.

◆ ტეხნიკური ლექსიკონის გამო. ვინაიდან მოსალოდნელია ტეხნიკური ლექსიკონის მთელი გამოცემის თფილისში გაყიდვა, საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება ყოველივე პასუხისმგებლობის და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ამით აცხადებს პროვინციელთა საყურადღებოთ, რომ საჭიროა ზემოაღნიშნული ლექსიკონი რაც შეიძლება საჩქაროთ დაიკვეთოთ. მისამართი: თფილისი, დიდმთავრის ქ. № 70, პოლიტეხნიკური სასწავლებელი, ინჟ. ვ. კაკაბაძეს.

◆ თფილისის სასამართლო პალატის შენობაში, შაბათს, 17 იანვარს, საღ. 7 საათზე შესდგება ქართულ იურიდიული საზოგადოების საერთო კრება, სადაც სენატორი დემიდოვი წაიკითხავს მოხსენებას: „პასუხისგებაში მიცემის კამერის დაარსების შესახებ“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. აგრეთვე განხილული იქნება მიმდინარე საკითხები. ვთხოვთ პატივცემულ წევრთ დაესწრონ კრებას.

◆ ახალი ბანკი. საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის საბჭომ საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საქმეების გამო გაგზავნა: გოთუა ქ. ქუთაისში და ოზურგეთის მაზრაში; დ. კალანდაძე—ბათუმში; ალექსანდრე ასათიანი სოხუმ—ფოთ—ზუგდიდ—სენაკში და დ. ჩხეიძე—კახეთში. კვირას, 1920 წლის 25 იანვარს, დილის 10 საათზე, თფილისის სასოფლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის ბანკის ბინაზე დანიშნულია საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა; ამიტომ სთხოვს ხსენებულ დაწესებულებათ ყრილობაზე თვისი წარმომადგენლები გამოგზავნონ შესაფერი მანდატით.

ხალხოსნური ახალგაზრდობა **ხალამო.** ამა თვის 17 იანვარს, არტისტიულ საზ. ბაზში თბილისის 2-რე ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლ. ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართება დიდი სალიტერატურო-კაბარე საღამოს დ. სახლისია მ. ქ. ჩამიშვილის.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

17 იანვარს საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. დ. ქალთა ბიუროს კრება. სავალდებულოა ყველა რაიონებიდან წევრების დასწრება.

— 18 იანვარს, დილის 11 ს. შესდგება არა ჩვეულებრივი კრება სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირისა.

— 18 იანვარს, დილის 10 ს., მუშათა სასახლეში კოოპერატივ „ელორძინების" ბინაზე, შესდგება მუშათა კოოპერატივ „ელორძინების" რწმუნებულთა კრების გაგრძელება.

— კვირას 18 ამ იანვარს დილის 12 ს. დანიშნულია თბილისის მილიციის კოოპერატივის კრების გაგრძელება. ფილიპიანის კურსების შენობაში (სემიონოვის ქუჩაზე, სახლი № 4).

— კვირას, 18 იანვარს, დილის 10 მეორე რაიონის ბინაზე შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა მეორე რაიონის კოლექტივის კრება.

**პროვინციის ქრონიკა**

სამტრედიაში 18 იანვარს (ახ. სტ.) დილის 10 სად. სამტრედიაში შესდგება მომხმარებელ საზოგადოება „კავშირის" წევრთა წლიური კრება.

## მილოცვები დამოუკიდებლობის აღიარების გამო

**ხიდისთავი.** ზაკურციხის თემის საბჭოს 13 იანვრის სხდომა დიდ სახელმწიფოთაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით გახარებული ულოცავს მთავრობის თავმჯდომარეს და საქართველოს დემოკრატიას პირველს დიდს გამარჯვებას საგარეო პოლიტიკაში.

საბჭოს თავმჯდომარე კარიპაშვილი.

—

**ჩოხატაური.** მრავალ რიცხოვანი მიტინგი მთელი ჩოხატაურის რაიონის მოქალაქეთა თქვენთან ერთად ქართველი ხალხის სახელოვანო ბელადო სულით და გულით ზეიმობს და დღესასწაულობს. ეს დღე ბრწყინვალე გამარჯვებაა საქართველოს დემოკრატიისა.

მიტინგის თავმჯდომარე აფთონ ციხელაძე.

—

**ქრებალო.** ქვეშის საზოგადოების მცხოვრებნი მხიარულობს საქართველოს დამოუკიდებლობის სადღესასწაულო დღით. მადლობას სწირავს დაუღალავ წინამძღოლთ და უსურვებს შემდეგ ასეთ ნაბიჯებს დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

მონდობილობით ლოლოლიანი.

—

**ხიდისთავის მაზრის ერობის** გამგეობა აღფრთოვანებული გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის უმაღლეს საბჭოს მიერ აღიარებას. ვუსურვებთ საქართველოს დემოკრატიას მის ქადაგა ბელადითურთ დღეგრძელობას. სამარადისოდ განმტკიცებულიყოს საქართველოს დამოუკიდებლობა და სიძლიერე.

ერობის თავმჯდომარე ახმეტელაშვილი.

—

**ყაზბეგი.** (ნ. ჟორდანიას) პირველი სტეფან წმინდის სავაჭრო ამხანაგობა „სიმართლე" დიდის აღფრთოვანებით და ულრმესი სიხარულით გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას და რადგანაც ამ დიდებულ ფაქტის პირველი მიზეზი თქვენა ხართ, გისურვებთ პირადათ თქვენს ამხანაგებით ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს ჩვენი ძვირფასი საქართველოს საკეთილდღეოთ. საქართველოს კი ვუსურვებთ თქვენისთანა პირებით სიმდიდრეს. ვაშა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! ამხანაგების მონდობილებით თავარ შადური.

## დემოკრატიის ეკონომიური პოლიტიკა

ომმა და მისი წყალობით განსაკუთრებით დიდმა რევოლიუციამ,—რომლის ნაკადულებიც ტოლ-მეტი სიძლიერით ამღელვარდნენ სხვა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში,—ჩვეულებრივ ეკონომიურ ცხოვრებასთან ერთად თვით წარმოების პირობებიც კი რადიკალურათ შესცვალეს.

ძველათ სახალხო სიმდიდრის შემქმნელი მთელი წარმოება განსაკუთრებით ერთი მესაკუთრე კაპიტალისტების, ან მათი ორგანიზაციების ხელში იყო; კაპიტალისტური მოგების გაძლიერებათ საჭირო იყო საწარმოვო ძალების განვითარება; ზედმეტი ღირებულობის უზრუნველყოფა, მისი წარმატება და განუწყვეტელი ზრდა მოითხოვდა, რომ თვითეულ კაპიტალისტს, ან მათ კავშირს გაუმჯობესებული შრომის იარაღებით სხვაზე უფრო მეტი საქონელი დაემზადებინათ, რადგანაც მხოლოთ ამ გზით შეეძლოთ მათ მძაფრი ეკონომიური კონკურენციიდან გამარჯვებული გამოსულიყვნენ.

საწარმოვო ძალების და სახალხო სიმდიდრის განადგურებამ დამბლა დასცა, დაასუსტა და ბევრგან თითქმის მოსპო ის კაპიტალისტური კონკურენცია ბაზარზე, რომელიც საწარმოვო ძალების ზრდა-განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა; ულმობელი კონკურენცია კაპიტალისტურ წარმოებებს არსებობისათვის მკაცრათ აბრძოლებდა ერთი მეორესთან და გადარჩენისათვის აიძულებდა თვითეულ მათგანს საწარმოვო ძალები გაეუმჯობესებინა და მით საქონელი გაემრავლებინა. კონკურენცია, ასე ვთქვათ, იმ კნუტს წარმოადგენდა, რომელიც კაპიტალისტებს ამ გზით მიერეკებოდა.

კონკურენციის დასუსტებამ და ბევრგან სრულიად მოსპობამ, როგორც სამრეწველო, ისე სავაჭრო დარგში მტაცებლური სპეკულიაცია გაბატონა, რამაც ნათელჰყო შექმნილ ახალ ეკონომიურ პირობებში კაპიტალისტური წარმოების ულაჯობა; ქვეყნის სიმდიდრის და წარმოების განადგურებამ ულმობელი კონკურენციის ნაცვლათ, რომელიც საქონლის ფასებს აზომიერებდა და დაბლა სწევდა, ულმობელი სპეკულიაცია გაბატონა, რომელმაც ფასები საზღაპროთ ასწია. და საწარმოვო ძალების და სახალხო სიმდიდრის ზრდა შეაჩერა.

ასეთმა ახალმა ეკონომიურმა მოვლენამ დემოკრატიის და განსაკუთრებით მისი ავანგარდის პროლეტარიატის მდგომარეობა ჯოჯოხეთურ პირობებში ჩააგდო. წარმოების მოდუნებამ და ნედლი მასალის უქონლობამ უმუშევრობა გააძლიერა, სპეკულიაციამ რეალური ხელ ფასი საარსებო მინიმუმის ქვევით დასწია, რამაც სიტიტვლესთან ერთად მეფე-შიმშილის საზარელი აჩრდილი გამოიწვია.

ახალმა ეკონომიურმა პირობებმა და აუტ ნელმა სიდუხჭირემ პროლეტარიატის მეთაურობით აამოძრავა საერთაშორისო დემოკრატია; როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ასპარეზზე ის ბურჟუაზიას დაუპირდაპირდა, რომელიც ისტორიამ სასიკვდილოთ გასწირა. ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები ძველს ევროპას და ამერიკასაც კი გადამდებ სენსავით მოედო; შრომასა და კაპიტალს შორის უფსკრული იზრდება და მათ შორის თანდათან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მწვავდება.

ამიტომაც სოციალისტური დემოკრატია ყველგან იმაზმება და ბურჟუაზიისაგან დატოვებულ პოზიციებს ხელი ხელ იჭერს, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ცხოვრების დარგში. სახელმწიფოთა დემოკრატიზაცია სწრაფათ სწარმოებს.

ახალი მდგომარეობა და შექმნილი აუტანელი ეკონომიური პირობები აიძულებენ სოციალისტურ დემოკრატიას, რომ ბურჟუაზიისაგან დაცლილი ადგილი მან დაიჭიროს; სოციალისტური დემოკრატია ისტორიისაგან იძულებული ხდება მესვეურობა იკისროს და როგორც სოციალურ და პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ ცხოვრებასაც მან უხელმძღვანელოს. როდესაც პოლიტიკურათ გაბატონდება სოციალისტური დემოკრატია, ის ისტორიისაგან მოწოდებული იქნება, რომ ეკონომიურათაც გაბატონდეს და დაშლილ-დარღვეული ძველი ქვეყანა ახალ მკვიდრ ნიადაგზე დაამყაროს.

სახალხო სიმდიდრის ზრდით და საწარმოვო ძალების განვითარებით ამ ჟამათ მხოლოდ სოციალისტური დემოკრატია არის დაინტერესებული. ის იძულებული ხდება როგორც თავისი, ისე ქვეყნის ცხოვრება ისეთ საფუძველზე და იმ გვარათ მოაწყოს, რომ მშრომელ მასსას არსებობის და განვითარების გზა გაეხსნას; მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას სიცოცხლის დაცვა, მისი შენარჩუნება და იმ მოჯადოებული ეკონომიური ცხოვრების წრიდან გამოსვლა, რომელშიც ის კაპიტალიზმმა ჩააგდო. ამ მიზნის მიხწევა კი მას არა მარტო პოლიტიკურათ გაბატონებით, არამედ მისი ეკონომიური საფუძვლის გამაგრება გამტკიცებით შეეძლება.

ი. ირემაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

## უცხოეთი

**რ უ ს ე თ ი.**

**„პოგრომი" როსტოვში.** როსტოვიდან ჩამოსულმა შემდეგი გადასცა გაზ. „ჩერნ. კრესტ. გაზ." ს თანამშრომელს: იუზოვკასა და კამენსკაიასთან მოხალისეთა ჯარის დამარცხების შემდეგ როსტოვში ნამდვილი ვაკხანალია დატრიალდა. სადგური გაივსო ჯარისკაცებითა და ოფიცრებით, რომლებიც ფრონტიდან გამოიქცნენ. ოფიცრების გადმოცემით ბევრ ყაზახთა ნაწილებმა თავისი ნებით მიატოვეს ფრონტი და თითქოს იმ მიზნით, რომ ბოლშევიკების ბოხრებიდან დაეცვათ თავიანთი სტანიცები,—გაეშურენ სახლებისაკენ. როსტოვიდან ყველა გზები დაჭერილი იყო ეშელონებითა და მგზავრებით. გამოჰქონდათ ყოველგვარი ნივთები, სკამები, მაგიდები და სხვ. ბუფეტებში და ბაქანზე შეჯგუფდნენ ჯარის კაცები— მთვრალები იარაღითა და უიარაღონი. მეორე დღის 12 საათზე ქალაქი პანიკამ მოიცვა. პირველათ ხმები გავრცელდა, რომ ებრაელთა „პოგრომი" იწყებაო. მაგრამ მალე ყველასთვის დასახახი შეიქნა, რომ ნახევრათ მთვრალი მოხალისენი დაერივნენ სავაჭროებს და სხვა დაწესებულებებს და იწყეს ძარცვა-გლეჯა. ხალხი ქუჩაში ვერ გამოდიოდა. თუ კი რომელიმე „ბურჟუა" გაბედავდა ქუჩაში გამოსვლას,—მას გაატიტვლებდნენ. მოხალისეთა აფიცრობის ავტორიტეტი საბოლოოთ დაეცა. ისინი გულგრილათ უყურებდნენ ჯარის კაცთა მხეცურ მოქმედებას. ძარცვა-გლეჯა მთელი დღე გაგრძელდა.

**დონის ფულების კურსის დაცემა.** „უტრო იუგოში" სწერია: ამ ჟამათ ჩვენი ვალიუტა ნოვოროსიაში, ბათუმთან შედარებით, ორჯერ დაეცა. უცხო სახელმწიფოთა ვალიუტის ღირებულება დღითი-დღე იზრდება. მაგ. ოსმალეთის ლირა (ქაღალდის) ლირადა წინათ ნიკოლოზის ფულებზე 60 მან. ახლა კი ფასობს 1,800 მან. დიდი მოთხოვნილებაა ფრანკებზე, რომელიც 43 მან. ავიდა 53 მანეთამდე. უცხო სახელმწიფოთა ვალიუტის კურსების აწევამ გამოიწვია საქონლის გაძვირება.

**ნოვოროსიისკში.** ნოვოროსიისკიდან ჩამოსული პირების გადმოცემით ქალაქი ამ ჟამათ ავსებულია მოხალისეთა გუბერნატორებითა და სხვადასხვა უფროსებით, რომელნიც გამოიქცნენ ბოლშევიკების მოახლოვების გამო როსტოვიდან და სხვა ადგილებიდან. სპეკულიანტები, წევრები „სეგანგების" და სხვა სათათბიროებისა და ათასი სხვა პირები მოუთმენლათ ელიან ნოვოროსიისკში გემებს, რომ გაიქცნენ სადმე კიდევ უფრო შორს. ამ „მოხალისეთა" გმირების გვერდით ქალაქში თავი მოიყარა აუარებელმა ქალებმა და ბავშვებმა, რომელნიც ილტვიან ბოლშევიკ-მოხალისეებიდან. ყველა სასტუმროები სავსეა. ლტოლვილებს და სხვებს ცის ქვეშ უხდებათ დაძინება. პურის ფასი 8-დან 10 მანეთამდე ავიდა, მაგრამ არსად იშოვება.

**მობილიზაცია.** მოხალისეთა სარდლობამ შავი ზღვის გუბერნიაში გამოაცხადა გლეხთა მობილიზაცია, რომელნიც 14 იანვრამდე უნდა გამოცხადებულიყვნენ ჯარის ნაწილებში. გლეხობას გადაწყვეტილი აქვს ისე, როგორც მარტში, არ დაემორჩილონ დენიკინის განკარგულებას და არ გავიდნენ ჯარში.

**დენიკინის წინააღმდეგ.** 11 იანვარს შავი ზღვის გუბერნიის გლეხთა რაზმების მთავარ შტაბში შევიდა ყუბანელ ჩერქეზების დელეგატი; ჩერქეზები არ სცნობენ დენიკინის მთავრობას და წინადადებას აძლევენ შავი ზღვის გუბერნიის გლეხობას შეკრან მათთან კავშირი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

**მოხალისეები ცდილობენ მდგომარეობის გამოსწორებას.** ეკატერინოდარში მოეწყო ყუბანის კომიტეტი, რომელმაც მოხალისეებს უნდა გაუწიოს დახმარება. გაზეთებში გამოქვეყნებულია სია იმ სამრეწველო დაწესებულებათა, რომელნიც ვალდებული არიან წვლილი გაიღონ „დობროვოლეცის" დასახმარებლად. სიაში 71 დაწესებულებაა შეტანილი. თითქმის ყოველ დღე ხდება ახალ-ახალი მობილიზაცია. ეკატერინოდარის გარნიზონის უფროსს განზრახვა აქვს აღძრას მთავრობის წინაშე საკითხი, რათა გაწვეულ იქნენ ჯარში ყველა ის უცხოელები და ლტოლვილები, რომლებიც მუდმივათ ქალაქში და საზოგადოთ, მხარეში სცხოვრობენ.

**ოთხ-ფეხ საქონლის რაოდენობა ხოვდეპიაში.** შინაურ ცხოველების რაოდენობა საბჭოთა რუსეთში საგრძნობლათ შემცირდა. ოფიციალური ცნობების თანახმად მუშა-ცხენებიდან, რაც ომამდე არსებობდა,—ეხლა დარჩენილა მხოლოთ 20 პროც., ხარები—42 პროც., მეწველი ძროხები—25 პროც.

**სამხრეთ-რუსეთის მთავრობის გარშემო.** გაზ. „უტრო როსია"-ს ცნობით სამხრეთ-რუსეთის კონფერენციის მუშაობას ბოლო არ უჩანს. უკანასკნელ ხანებში კონფერენციის სხდომები და ხურულ კარებში ხდება და გაზეთებს და საზოგადოებას არა აქვთ საშვალება გაიგონ რა ხდება კონფერენციაზე. გაზეთს მოჰყავს მეორე გაზეთის „პარუსის" შემდეგი ცნობა: ყაზახები ენერგიულათ მოითხოვენ თავიანთ ოლქების ავტონომიას. მოხალისეთა სარდლობა კი ამის წინააღმდეგია და თანახმაა მხოლოთ პერსონალურ ავტონომიაზე იმ პირობით, რომ ადგილობრივ მთავრობამ განაგოს მხოლოთ ყაზახების საქმეები და დასძენს: თუ კი ეს ასეა, უნდა უარვყოთ ყოველგვარი იმედები იმის შესახებ, რომ კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერი იქნება.

## ბათუმი

ბათუმის ქალაქის ხმოსანთა არჩევნები მოხდება ამა წლის 29 თებერვალს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ბათუმის მცხოვრებთ, როგორც მამაკაცს, ისე ქალს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, თუ რომ აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: 1) თუ რომ ხნოვანებით არიან არა ნაკლებ 25 წლისა. 2) თუ რომ ბათუმში დასახლდნენ 1919 წლის 1 თებერვლამდე, ან და ცხოვრობდნენ ბათუმში 1918 წლის 1 აპრილამდე და სხვადასხვა მიზეზის გამო დასტოვეს ქალაქი და დაბრუნდნენ ისევ 1919 წლის 1 ოქტომბრამდე. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ აგრეთვე იმათ, ვინც ფლობს ქალაქ ბათუმში უძრავ ქონებას და დაბრუნდა ქალაქში საარჩევნო სიების შედგენის დღემდე.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ: 1) სამხედრო სამსახურში მყოფთ, 2) ქალაქ ბათუმის და ბათუმის ოლქის უმაღლეს ადმინისტრატიულ პირთ, მათ მოადგილეებს და თანაშემწეებს, 3) ქ. ბათუმის და ბათუმის ოლქის მილიციაში მოსამსახურეთ და სანაპირო რაზმში მყოფთ, 4) ბერ-მონაზვნებს, 5) შეშლილებს და ყრუ-მუნჯებს, 6) იმათ, ვინც ქველმოქმედური დახმარებით ცხოვრებენ და 7) ვინც ცხოვრებენ მათხოვრობით.

— ამ ბოლო დროს ქალაქში ძლიერ გახშირდა მინების ქურდობა. ქურდები პირდაპირ იღებენ ფანჯრების ჩარჩოებიდან მინებს და მიაქვთ.

— ქართული ბონები 300 პროცენტით და მეტითაც ფასობენ დონის ფულთან შედარებით.

## ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა

(დასასრული).

**გ. ლახნიშვილი.** მოქალაქენო! ნება მიბოძეთ თბილისის ქალაქის საბჭოს სოციალისტ ფედერალისტთა ფრაქციის სახელით მოგილოცოთ ეს ბრწყინვალე დღესასწაული. ჩვენთვის, სოციალისტ-ფედერალისტთათვის ამ გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ნება მიბოძეთ გაორკეცებულათ მოგილოცოთ ის. ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია ეროვნული თავისუფლების გარეშე წინსვლა. ჩვენ ვიბრძოდით ამისათვის და გვგონია, რომ ეს არ არის შემთხვევითი. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ეროვნული თვითგამორკვევის ჟამი დადგა და ის თავისი ლოღიკურ დასკვნამდე მივიდოდა. რევოლიუციის შემდეგ ხალხში დაგროვილი იყო ეროვნული ენერგია და იმან ჩვენ მიგვიყვანა 26 მაისამდე ეს იყო ჩვენი ხალხის გამარჯვება შინ და ეხლა ჩვენ ვდღესასწაულობთ! საქართველო იცნო ევროპამ. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ერის ბრძნულმა მომწიფებამ მიგვიყვანა ამ დღემდე. მაგრამ ეს არ არის ჯერ სრული. ჩვენი ფრაქციის აზრით ჩვენი დამოუკიდებლობა არ იქნება სრული, სანამ სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობას არ იცნობენ. ჩვენ ვიბრძოლებთ ამისათვის (ტაში).

**დეკან. ნ. თალაკვაძე** აღნიშნავს იმ მხიარულებასა და სიხარულს, რომელიც გამოიწვია ქალაქში მოულოდნელმა ცნობამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ. 26 მაისიდან, ამბობს ორატორი, საქართველო დამოუკიდებლად სცხოვრობდა, მაგრამ მას კიდევ ეშინოდა. დღეს კი ჩვენ თანასწორად გვცნეს და ჩაგვრიცხეს ევროპის დიდი ოჯახის წევრად და ჩვენი ერი მას ვაჟკაცურად ჩამოართმევს მეგობრულად გამოწვდილ ხელს და არც ევროპა შეინანებს ჩვენს მეგობრობას.

ორატორი მოითხოვს, რომ ქალაქის საბჭომ მეტის ენერგიით იმუშაოს და შექმნას ისეთი პირობები. რომ ხალხს ლუკმა პურის შოვნა არ უჭირდებოდეს. დღეიდან ჩვენ მასპინძლები ვართ და მოყვრულად მოსულ სტუმრებს პურმარილით დაუხვდებით, მაგრამ დაუპატიჟებელ სტუმრებს კი, ქართველი ერი ქართველურათ დაუხვდება. სალამს უძღვნის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ და მოითხოვს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მტკიცე კავშირს.

**დ. ვაჩნაძე** აღნიშნავს, რომ ეს დიდი წუთი ახალი არ არის, ვინაიდან საქართველოს ბევრჯერ ქონდა სხვადასხვა ერებთან ბრძოლა, ბევრჯერ უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ის არ მომკვდარა. მხოლოდ დღევანდელ დღის ორი ისტორიული ფაქტი ემატება: პირველი ის, რომ თბილისი დღეს გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქია და მეორე, რომ ევროპას კარები ღია საქართველოსთვის. ჩვენ დღეს ვზეიმობთ ამ ორ გარემოებას, ამბობს ის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოს, რომ ევროპის გასათანასწორებლად საჭიროა მუშაობა. მუშაობის გაძლიერება. შემდეგ ორატორი მიმართავს მთავრობის თავმჯდომარეს და ულოცავს მას ბრწყინვალე გამარჯვებას.

დასასრულ საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ცნობა საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ, საქართველოს დედა ქალაქ თბილისის საბჭო გამოსთქვამს თავის აღტაცებას ამ ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ და თავისი სასიამოვნო მოვალეობათ მიაჩნია მიულოცოს საგანგებო დელეგაციის სახით დამფუძნებელ კრებას ეს დიდი გამარჯვება და აცნობოს, რომ ქალაქის საბჭო და დედა ქალაქის ყველა მოქალაქენი მზათ არიან წინანდებურათ იბრძოლონ მოპოვებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად.

მიულოცოთ ბრწყინვალე დღესასწაული ბაქოს ქალაქის საბჭოს ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობა და ერევნისას ვაცნობოთ ერევნის ქალაქის საბჭოს ჩვენი დღესასწაული და სურვილი, რომ მოკლე ხანში დამტკიცებულიყოს მისი დამოუკიდებლობაც.

## მასწავლებელთა ყრილობა.

**მე 5 დღე**

თავმჯდომარეობს გ. ბურჯანაძე. დღის წესრიგში დგას სასკოლო რეფორმა. მოხსენებას აკეთებს ალ. მდივანი. მომხსენებელი იწყებს იქიდან, რომ მთავრობის თავმჯდომარემ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში, რომელშიაც დაწვრილებით შეეხო სახელმწიფოს ყველა დარგს და უწყებებს, ერთი სიტყვაც არ თქვა სწავლა-განათლების საქმის მოწყობაზე. ამის გარდა მომხსენებელი აკრიტიკებს აგრეთვე განათლების სამინისტროსაც, რომელსაც არ აქვს პროგრამა და არც მოუხდენია არავითარი თვალსაჩინო რეფორმა ამ ხნის განმავლობაში სასკოლო საქმეში, გარდა იმისა, რომ საშუალო სკოლებიდან გამოყვეს პროგიმნაზიული კლასები. ამის შემდეგ მომხსენებელმა წაიკითხა ვრცელი წერილობითი მოხსენება, რომელშიაც მომხსენებელი იცავს მთლიან სკოლას 8 წლის კურსით და საშუალო სასწავლებელში ბიფურკაციას. მართვა-გამგეობის საქმეში მომხსენებელი იცავს ცენტრალისტურ და დეცენტრალისტურ კომპრომისულ მიმართულებას. ამას გარდა მომხსენებელს შესაძლებლად მიაჩნია ცენტრალურ მმართველობასთან სასკოლო საბჭოების დაარსება. სკოლის ასაკამდე ყმაწვილებისათვის მომხსენებელი მოითხოვს საბავშვო ბაღების მოწყობას. საერთოდ მოხსენება ძლიერ ბუნდოვანი და გაუგებარი იყო.

სიტყვას ღებულობს განათ. მინ. ამხ. ნ. ცინცაძე. მინისტრის ამხ. გაკვირვებას გამოსთქვამს მომხსენებლის იმ განცხადებაზე, რომელიც შეეხებოდა მთავრობის თავმჯდომარეს, თითქოს მას თავის სიტყვაში ყურადღება არ მიექციოს განათლების მხარისათვის მაშინ, როდესაც მთავრობის თავმჯდომარემ თავის დეკლარაციაში. რომელიც მან წაიკითხა დამფუძნებელ კრებაში, ნათლად დაასურათა რესპუბლიკაში სახალხო განათლების საქმის დაყენება. ამას გარდა მინისტრის ამხანაგი ეხება მომხსენებლის მიერ წამოყენებულ უმთავრეს დებულებებს და ამბობს, რომ მომხსენებელს თავის მოხსენებაში არაფერი ახალი არ უთქვამს, პირიქით, ის არის გამეორება იმ დებულებებისა, რომელიც განხილული და მიღებულიც აქვს მთავრობას, რვა წლიანი „ერთიანი" და არა „მთლიანი" სკოლა. მხოლოდ ბიფურკაცია მთავრობას ჯერ-ჯერობით მიაჩნია მიუღებლად საშუალო სასწავლებლებში, ვინაიდან ეს იწვევს ზედმეტ ხარჯებს და უნდა ისწავლებოდეს საზოგადო საგნები. შემდეგში შეიძლება ჩვენ მივიღოთ საგნების არჩევის პრინციპიც. ამას გარდა სამინისტროს ყურადღება აქვს მიქცეული სატექნიკო და აგრონომიულ სასწავლებლების დაარსებისათვის. ამ მხრივ ზომები უკვე მიღებულიც არის.

კანიევა, რვა წლიანი ერთიანი სკოლა უდაო უნდა იყოს და ყველასათვის მისაწვდომი, მხოლოდ მართვა-გამგეობის საქმეში ორატორი მხარს უჭერს დეცენტრალიზაციას. ცენტრის ხელში უნდა იყოს დარჩენილი მხოლოდ საერთო სახელმძღვანელო უფლებები, დანარჩენი კი უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვით მმართველობებს. ამ პრინციპს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სისწორით ატარებს. ამას გარდა ორატორი ეხება პროფესიონალიზმს, რომელსაც ადგილი ქონდა განსაკუთრებით რევოლიუციის პირველ ხანებში. კავშირების დანიშნულებაა გამოიჩინონ აქტივობა საქმიანობაში და არა მარტო მოთხოვნილებების წაყენებაში. თვით მოხსენებაში ორატორი ვერ ხედავს ვერაფერ ახალს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს სამინისტროს მიერ მიღებულ დებულებებს.

**ქარუმიძე.** მისთვის მეტი მნიშვნელობა აქვს ადგილიდან მოხსენებებს, ვიდრე გერმანიის და შეერთებულ შტატების მაგალითებს და ამბობს, რომ ჩვენში ყოვლად მიუღებელია დეცენტრალისტური პრინციპი მართვა-გამგეობაში, ვინაიდან ჩვენი თვითმართველობები სრულიად მოუმზადებელი პირების ხელში არის ამ ჟამად და იცავს ცენტრალურ პრინციპს. ამას გარდა ორატორი დიდ მნიშვნელობას აძლევს დაწყებითი სასწავლებლებთან საპროფესიო და აგრონომიულ განყოფილებების დაარსებას.

წინადადება შემოდის, რომ ვინაიდან კითხვა გამორკვეულია, უკანასკნელი სიტყვა მიეცეს მომხსენებელს და კენჭი ეყაროს მოხსენებას. წინადადება მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით. სიტყვა ეძლევა მომხსენებელს. ის უარს ყოფს მინისტრის ამხანაგის იმ ბრალდებას, თითქოს მას, მომხსენებელს, მთავრობისათვის მიეწეროს უპროგრამობა. ის მხოლოდ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მთავრობას არ აქვს საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული და მიღებული პროგრამები და ის, რაც ეხლა გვაქვს, მას ეწოდება მხოლოდ განკარგულებები. მთავრობის თავმჯდომარეზე მოხსენების წინასიტყვაობაში ხაზს ქვამს მომხსენებელი ალასტურებს. მთავრობის თავმჯდომარეს თავის 1919 წ. 9 დეკემბრის მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს სწავლა განათლებაზე. ამის შემდეგ მომხსენებელი განმარტავს თავის მოხსენების დებულებებს, რომელიც შეიცავს შემდეგს: რვა წლიანი ერთიანი დაწყებითი სკოლა, ზოგადი და სავალდებულო პროფესიონალური შემდეგ. დროებითი სატექნიკო და აგრონომიული კურსების დაარსება დიდ რაიონებში. მართვა-გამგეობის საქმეში ის იცავს დეცენტრალისტურ პრინციპს, შეფარდებულს ადგილობრივ თვითმართველობებთან პედაგოგიური დამოუკიდებლობის დაცვით.

მოხსენების შემდეგ შესაფერ რეზოლიუციის გამოსამუშავებლად ყრილობამ აირჩია 11 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელშიაც შედიან 4 დაბალი დაწყებითი, 4 უმაღლესი და სამი საშუალო სასწავლებლიდან. ამ დროს აკ. ფაღავას შემოაქვს საყურადღებო და მასთან სასიხარულო განცხადება ანტანტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, რასაც ყრილობა ვაშას ძახილით და დაუსრულებელი ტაშით შეხვდა, ოვაციები გაუმართეს განათლების მინისტრის ამხანაგს. ამის შემდეგ კრება იხურება და პრეზიდიუმის და განათლების მინისტრის წინამძღვანელობით გაემართა სასახლისაკენ მთავრობის მისალოცათ.

პირველად ყრილობა მიესალმა სამხედრო სამინისტროს. აქედან სამხედრო მინისტრის თანხლებით ყრილობა მივიდა სასახლეში, სადაც მათ მიესალმნენ მთავრობის თავმჯდომარე, განათლების და სამხედრო მინისტრები, აკ. ჩხენკელი, ვ. ჯუღელი, ს. დადიანი და ალ. ლომთათიძე. აქედან ყრილობა აგრეთვე გარეშე საზოგადოების თანხლებით მიესალმა ბრიტანეთის მთავარ წარმომადგენელს უორდროპს. შემდეგ ამერიკის და ადერბეიჯანის მისიებს. ქალაქის თვითმართველობის სახელით მიესალმა ქალაქის თავი ბ. ხნიკეშვილი და აკ. პაპავა. ყველა ორატორები აღნიშნავდნენ იმ საგულისხმო ფაქტს, რომ ყველაზე პირველად ბედმა არგუნა ამ სასიხარულო დიდი მოვლენის მილოცვა სახალხო მასწავლებელთ. საღამოს 3 საათზე მასწავლებელთა პროცესია დაიშალა და მონაწილეობა მიიღო საერთო ზეიმში.

ნოდე.

## პროფესიონალურ კავშირებში

**სასურსათო საქმეზე მომუშავეთა პროფ. კავშირში.**

14 იანვარს შემდგარმა სასურსათო საქმეზე მომუშავე პროფ. კავშ. პრეზიდიუმის სხდომამ გაარჩია საკითხები: 1) მუშაობის განაწილება სექციების წევრებს შორის, 2) მეთორნეების სექციის ორგანიზაცია და მათზე გატარება მეფურნე მუშათა კოლექტიური ხელშეკრულობისა; 3) პროცენტების შეტანა ცენტრალურ საბჭოში; 4) საბჭოს დადგენილებისამებრ ახალი სისტემის შემოღება წევრთა რეგისტრაციისა და ანკეტისათვის; 5) კოლექტიური ხელშეკრულების შედგენა სასურსათო მუშათა ცენტრალურ კავშირისა: 6) საზოგადო კრების მოწვევა. ზემოთ ჩამოთვლილ საკითხების შესახებ პრეზიდიუმმა დაადგინა: მიენდოს უფროს მდივანს, ინსტრუქტორს, კანცელარიის მოწერიგება და 5 მდივნის მორიგეობა კანცელარიაში.

— მიენდოს ცენტრალურ გამგეობის მდივანს ხაზინებთან ერთად, შეათანხმოს მუშები იმ ტარიფთან, რომელიც აქამდე არსებობს მეპურე მუშათა კავშირში და საბოლოო დასკვნისათვის გადაეცეს სატარიფო პალატას.

— ყველა სექციები ვალდებული არიან პროცენტული გადასახადი შეიტანონ ცენტრალურ საბჭოს სასარგებლოდ 15 იანვრამდე, ხოლო 1920 წლის 1 იანვრიდან გადასახადს შეიტანს ცენტრალური კავშირი.

— პრეზიდიუმმა მოისმინა რა მდივნის ცნობა საბჭოს მიერ ახალი სისტემის შემოღებაზე წევრთა რეგისტრაციისა და ანკეტაზე—დაადგინა, რომ საანკეტო და თფიური ბარათები სავალდებულო შეიქნეს კავშირის ყველა წევრისათვის; ხოლო საწ. წიგნაკი კი არ იქნეს მიღებული, ვინაიდან ის ძლიერ ძვირია, რომელიც შეიძლება მუშას ადვილათ დაეხეს და მეორეთ, ასე წიგნაკის მოპოვება ართულებს მდივნების საკანცელარიო მუშაობას. კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ დადგენილ იქნა: ვინაიდან კოლექტიური ხელშეკრულება ამ ჟამათ დიდ საჭიროებას წარმოადგენს კავშირისათვის, მიენდოს ყველა სექციის მდივნებს თებერვლის ბოლომდე შეადგინონ კოლექტიური ხელშეკრულება და დასამტკიცებლად წარუდგინონ კავშირს.

— საზოგადო კრების მოწვევა დაინიშნა 25 იანვრისათვის დილის 10 საათზე.

— ამის შემდეგ პრეზიდიუმმა მოისმინა მდივნის მოხსენება ახალი მომატების შესახებ და დაადგინა: ახალი მომატება ეხლავე გატარდეს ცხოვრებაში. ამას გარდა პრეზიდიუმი დაკმაყოფილდა იმ რაციონით, რომელიც მიეცემა მუშა-მოსამსახურეთ, მაგალითად ნახევარი გირვანქა პური სულზე 3 მან. 50 კაპ. გირვანქა. 1 გირვანქა ბრინჯი გირ. 14 მანეთად, 1 გირვანქა შაქარი სულზე 16 მანეთად, თევზეულობა ნავთი და სხვა.

## კულტურული მუშაობა სახალხო გვარდიაში

12 იანვარს შესდგა სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. ილ. ჯიქიძე, მდივნათ ორაგველიძე. დღის წესრიგში იდგა ორი კითხვა. 1) გარდაცვალებულ გვარდიელის ბალდავაძის დაკრძალვის მოწყობა. 2) ურთიერთ დამხმარე კასის დაარსება.

პირველი კითხვის შესახებ კრებამ ერთხმათ დაადგინა: ამხ. აკაკი ბალდავაძის დასაკრძალავათ გაიღოს თვითეულმა გვარდიელმა ხუთ-ხუთი თუმანი. ამ თანხიდან 2000 მან. გადაეცეს კულტურულ განმანათლებელ სექციას, ნაწილი გვირგვინის საყიდლათ მთელი ბათალიონის სახელით და დანარჩენი მოხმარდეს მის ღარიბ მშობლებს და ოჯახს, არჩეულ იქმნა გასვენების მომწყობი კომისია.

მეორე კითხვის შესახებ კრებამ მოისმინა რა მოხსენება ურთიერთ დამხმარე კასის დაარსების შესახებ, გადასწყვიტა ის დადებითად და აირჩია კომისია 7 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც მიენდო ერთგვარი ინსტრუქციის შემუშავება, რომელიც დაედება საფუძვლათ კასის არსებობას. კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ ყოველთვიურათ თვითეულ გვარდიელის ჯამაგირიდან ხუთ-ხუთი თუმანი მიდიოდეს ამ კასაში. გამგეობის არჩევნები გადაიდო ინსტრუქციის დამტკიცებამდე.

—

კულტურულ-განმანათლებელ სექციას, რომელიც არსებობს საგანგებო ბათალიონში და საინჟინერო გუნდში, მიზნათ აქვს კულტურულათ და პოლიტიკურათ განვითარდნენ გვარდიელები. ამ მიზნის მისაღწევათ საჭირო იყო ბინის მოწყობა, სადაც გვარდიელები მოიყრიდენ თავს და მიიღებდენ კულტურულ საზრდოს. ეს ბინა უკვე მოაწყო სექციამ. თეატრ „სახალხო გვარდიელის" დარბაზში აქვს საშუალება გვარდიელებს ხშირ-ხშირათ მოაწყონ როგორც ლექციები და მოხსენებები, ისე წარმოდგენები. 4 იანვარს კაპიტან გორგაძემ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: საქართველოს ისტორიული და თანამედროვე საზღვრები. მეორე ლექცია შესდგა 8 იანვარს. ამხ. ისიდორე რამიშვილმა თავის გრძელ სიტყვაში ბევრი ახალი უამბო გვარდიელებს, რითაც ისინი ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ.

9 იანვარს მოეწყო საღამო. ამ საღამოზე მოხსენება გააკეთა ამხ. ივ. გომართელმა. შემდეგ წარმოდგენილ იქნა „სიკვდილი ჩოდილოეთში" და „დიდის ერთა". აღსანიშნავია, რომ გვარდიელები ამ ბოლო ხანებში ძლიერ დაინტერესდენ კულტურული მუშაობით. იკითხება მოხსენებები თვით მოწინავე გვარდიელების მიერ, მაგრამ საჭიროა გამომუშავებულ იქნას ერთგვარი პროგრამა, რომლის მიხედვით წაიკითხება მოხსენებები, თორემ უსისტემოთ მეცადინეობას არ მოჰყვება სასურველი შედეგი. ამასთანავე შტაბთან ახლათ დაარსებული კულტურულ განმანათლებელი განყოფილება შეეცდება უზრუნველჰყოს ეს მუშაობა მატერიალურათ და შეიტანოს შიგ თავისი ორგანიზაციული ხელი, რაც გააფართოვებს მუშაობას და მკვიდრ საფუძველზე დააყენებს.

პრომეთე.

## ევგენი დვალის „გმირობა"

სვინდისიც კაი საქონელია, უთქვამს ჩვენ წინაპარს. სვინდისი თუ საქონელია, მაშ გაიყიდებაო, უფიქრია დვალს და გაუყიდია კიდეც. ასეთ კაცს არავინ ეხებოდა, მაგრამ თვითონ ყველას შეეხო. პირველათ ეწვია მიხ. გაჩეჩილაძეს. მიუყვანია ორი შეიარაღებული ამქარი და მოუთხოვია ხუთასი თუმანი. გაჩეჩილაძეს ას ორმოცდაათი თუმნის მეტი არ აღმოაჩნდა დვალს ისიც კარგათ ჩაუჯიბავს. შემდეგ მიუცია ნება, რომ გაჩეჩილაძეს გაეყიდა ვითომდა რაჭა-ლეჩხუმის კულტურული საზოგადოების სასტუმრო, რომელიც გაჩეჩილაძეს დარჩა იჯარით. კითხვა იბადება,—თუ საზოგადოების იყო სასტუმრო, რა ნება ქონდა გაეყიდათ? თუ საზოგადოების არ იყო, მაშინ რა საბუთით აიძულა გაჩეჩილაძე, რომ ფული მიეცა? ეს საქმე რასაკვირველია პროკურორს გადაეცემა და მალე გამოირკვევა დვალი მართლა ფსიხოპატია თუ ფსიხოლოგი. თუ პირველია, მისთვის ხომ კანონი არ არსებობს. თუ მეორეა, მაშინ სხვა ადგილი მოინახება. დვალმა იცოდა ეს და ყასიდათ მოინდომა ფსიხოპატი გამხდარიყო. ამიტომ 28 დეკემბერს ხიდის ყურზედ მიქრანოვის მაღაზიის შუშები ჩალეწა შემდეგ იარმუკაში ასრევე სამიკიტნო მილეწა. ქარდულათ ვაჟარ კაკუტაშვილს თავზედ დაამტვრია სკამი. უვარდება ეზოში ქალებს და უწყებს ცემას. ასრევე უხტება აგადმყოფ არუთინოვს და უბრძანებს: მეხლი მოუყაროს ალექსი ინასარიძეს. ეზოში თოკებს სწყვეტს და სარეცხს ტალახში ყრის, ეწევა მიმავალ ქეირდევს და ცემას უწყებს. უვარდება დოვაძეს სახლში და ფანჯრებს ულეწავს. შემდეგ უხტება კაკუტაშვილს მაღაზიაში და შკაფებს უმტვრევს ეს ნაღ „თეატრი და ცხოვრების" რედაქცია ხომ დიდი ხანია აიკლო და სცემა რედაქტორის შვილებს. დვალის მოღვაწეობა მარტო ამ „გმირობით" არ ამოიწურება. მან ყველაზე ადრე ფინანსიური საკითხიდან დაიწყო მოქმედება. 12,980 მანეთის მაგიერ პეტნავას უბრალო ხელმოწერილი ბარათი მიუგდო. ასრევე მოექცა მუშა გულიაშვილს,—4,000 მანეთის მაგიერ ბარათით გაუპასუხდა. ვიღაც მიქაძის ცოლს დასტყუა რამოდენიმე ათასი მანეთი, ვითომდა შ ქრის შესაძენათ, მაგრამ დვალს ეგეც ჩაუჯიბავს. არც მეჩაქურთმე პოგრებეცკი დაუტოვებია უყურადღებოთ. მისი ასი თუმანიც კარგათ მოუხმარია. კოწია თავართქილაძეც არ დავიწყებია. მისი 4 000 მანეთიც აუწაპნავს. დვალს ვიღაც გელს პალტო ძალზედ მოსწონებია, წაართვა ხამს და არხეინათ გასდგომია გზას. მაგრამ არც გელ გამომდგარა დვალზედ ნაკლები. უხეითია დრო და დიდი აყალმაყალის შემდეგ ისევ წაურთმევია პალტო პატრონს. ყველა ამ გმირობას კიდევ უფრო მიტომ ჩადიოდა დვალი, რომ არავის გაებედა მისთვის ვალის მოთხოვნა.

ხშირათ მილიციელსაც დამფრთხობია დვალი გადაყენებით. ასეთი ხრიკიც მას ავტორიტეტის და ძლიერობის გასამტკიცებლათ თუ დასჭირდა.

ვინ მისთვლის იმას, რასაც ეს ადამიანი სჩადის. მის დანაშაულზედ მე-2 კომისარიატში მრავალი ოქმებია დაგროვილი. მაგრამ დვალს ბუზსაც ვერავინ უფრენს, ის საზოგადო მოღვაწეთ ყავთ თუმცა წარმოდგენილი. ის შოთა რუსთაველის, რაჭა-ლეჩხუმის ფიქტიური საზოგადოების თავმჯდომარეთ ყავთ დასახელებული. დვალს მოხერხებულათ აქვს ატმოსფერა შექმნილი თავის სასარგებლოთ, ეს მან მოაწყო მაშინ, როდესაც მუშტაიდში შეკრებილი რაჭველობა დემონსტრაციულათ მთავრობისკენ გამოეშურა.

რაჭველობას აკავშირებდა სამშობლოს სიყვარული, რადგან ქალაქს სომხეთ ომიდან საფრთხე მოელოდა, როცა შეკრებილი რაჭველობა სახლებს მიუახლოვდა, დვალმა ისარგებლა სიბნელით და შოთა რუსთაველის დროშა შეაპარა ხალხის პროცესიას. მაშინ დვალს ამ ხრიკს ვერავინ მიუხვდა, ამით კი დვალმა ისარგებლა და ქვეყანას ისე მოაჩვენა, თითქოს ის მრავალი რაჭველობა, მისი დროშის წყალობით შეკრებილიყვეს. მას შემდეგ ჩაეყარა დვალის ოინბაზობას საძირკველი. და ეს ჩისი სიყალბე ფართო მასამ დღემდის არ იცოდა. მისი ოინების შემდეგ ყველა ეს გამოირკვა. ამიტომ მრავალი ხალხი ხელმოწერით მოითხოვს მთავრობისაგან გადაეცეს დვალის ყველა ოქმები პროკურორს და კანონის მიხედვით მიეცეს დამნაშავეს სასჯელი.

ჩამოერთვას უფლება ისარგებლოს დვალმა შოთა რუსთაველის პარტიის და რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოების სახელით, რადგანაც არავითარი ასეთი საზოგადოება არ არსებობს და დვალი მის სახელით ბოროტად სარგებლობს.

მ. დევაძე, ი. კირვალიძე, ვ. ჩლაიძე, იაშვილი.

—

P. S. ვთხოვთ საზოგადოებას, ვისაც რამ მასალა მოეპოვება დვალის შესახებ, გამოგზავნოს ჩვენ სახელზე ნაძალადევში. მ. დევაძე.

## ს.-დ. პარტიაში

**სამტრედია.** 28 დეკემბერს მოხდა სამტრედიის საკოლექტივოს წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 328 წევრი. კრების მიზანი იყო სამტრედიის რაიონულ კომიტეტის ექვსი წევრის არჩევა. კოლექტივის თავმჯდომარე ამხ. ა. ალანია აცნობს კრებას დღის წესრიგს და სთხოვს კრების პრეზიდიუმის არჩევას, არჩეულ იქნა კრების თავმჯდომარეთ ა. ალანია, მდივნათ ლ. ბუაძე. კომიტეტის წევრებით არჩეულ იქნა: ა. ალანია, გ. დუნდუა, რ. აბულაძე, ა. ახობაძე, კ. კაბურიშვილი და დ. მიქელაძე. კანდიდატებათ: ვ. კუკაძე, ზ. მესხიშვილი და კობრეიძე.

ლ. ლევანიძე.

—

**ფოთი.** 27 დეკემბერს ფოთის ს. დემოკრატიულ პარტიის კლუბში შესდგა საერთო კრება ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის მოსამსახურეთა ს. დ პარტიის წევრების. კრების მიზანი იყო იაჩეიკის მოწყობა ფ.-ტელ. კანტორის მოსამსახურეებში. ამხ. ჩიტაიას მოხსენების შემდეგ, კრებამ აუცილებელ საჭიროთ სცნო ფოსტაში იაჩეიკის დაარსება. რის შემდეგ მოხდა იაჩეიკის ხელმძღვანელების არჩევა; თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა: ამხ. ს. ჩინჩუა, ხაზინდართ ამხ. ივ. ჯაჯანიშვილი და ორგანიზატორათ ამხ. ვ. გვასალია, მათვე მიეცეს შეადგინონ ინსტრუქცია თავიანთ მოვალეობის ასრულების შესახებ.

კრების თავმჯდომარე ი. შოთაძე.

**ხ. დვირი** (ბორჯომის ხეობა) 15 დეკემბერს შესდგა დვირის ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. დაესწრო 35 წევრი. თავმჯდომარეთ იყო ს. ხუციშვილი. განარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) წარმომადგენლის არჩევა აწყურის რაიონულ კოლექტივის კრებაზე დასასწრებლად, 2) ორგანიზატორის და მოლარის არჩევა, 3) სკოლის მოწყობა, 4) დეზერტირობასთან ბრძოლა და 5) ბორნი-ღელის მამულის საკითხი. აწყურის კოლექტივის წევრათ კრება ერთხმათ ირჩევს გიორგი ნინაშვილს და ავალებს პარტიის წევრთა რეგისტრაციას და დამტკიცებას. პარტიული წიგნაკების შეძენას, პროპაგანდისტის მოწვევას წევრების განათლება-ცნობიერებისათვის, მახლობელ სოფლებში ორგანიზაციის მოწყობას და ადგილობრივათ კოლექტივის დაარსებას. ორგანიზატორათ კრება ირჩევს არჩილ ნინაშვილს, მოლარეთ ვანო კურტანიძეს. დეზერტირების შესახებ კრება ადგენს: ცხოვლით რა ღალატად დეზერტირებს მოღალატეებათ ჩვენი რესპუბლიკის, სასტიკ თვალყურს ადევნებთ ამნაირ პირებს და თუ აღმოაჩნდებიან სამხედრო უწყებას ჩააბარებთ. სკოლის შესახებ კრება ირჩევს კომისიას სამი კაცისაგან: 1) ი. ხუციშვილი, 2) მიტრო და 3) სანდრო პაპაძეებს და ავალებს სათანადო ზომების მიღებას, სადაც ჯერ არს, ტყის მასალის და შეშეულობის შესაძენათ, დანარჩენ მუშაობას კრება მთელი სოფლის სახით იღებულობს თავის თავზე. დასასრულ კრება არჩევს საკითხს ბორნი-ღელის მამულების შესახებ, გამოსთქვამს ღრმა აღშფოთებას ამ მამულის ერთი წლით სოფელ ქობისხევზე გადაცემის გამო, იმედოვნებს რომ ახალციხის სამაზრო ს. დ. კომიტეტი იშუამდგომლებს ბ. ბორჯომის ეროვნული მამულების მართველთან და მას თავის გადაწყვეტილებას შეაცვლევინებს ორი მეზობელი სოფლების საკეთილდღეოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში არასასურველი შედეგების პასუხისგებას ვაკისრებთ იმას, ვინც ჩამოგვართვა და გადასცა ეს მამული ქობისხეველებს.

ფილიმონიშვილი.

## მუშათა შორის

მატყუარა არტელი. ჩემდა საუბედუროთ თფილისში დაარსდა ეგრედ წოდებული საპასუხისმგებლო არტელი, რომელსაც სათავეში უდგა დავ. ჩხეიძე. გამიწყრა ღმერთი და მეც ჩავეწერე ამ არტელის წევრად იმ იმედით, რომ თანახმად დ. ჩხეიძის დაპირებისა, ადგილს საქმე მეღირსებოდა. გავყიდე სოფელში რაც რამ მებადა საცხოვრებელი და დავით ჩხეიძის დაიმედებული წვრილი ცოლ-შვილით ჩამოველი თფილისში. შევიტანე არტელში 1200 მანეთი; ათასი საწყისდაროთ (ზალოგი) და 200 მ. საწევროთ. ცხადია, ჩემი მიზანი იყო არა არტელის წევრობა უმთავრესად, არამედ—ლუკმა პურის შოვნა, რომ ამ ზამთარში ცოლშვილი სიმშილით არ დამხოცოდა. ორი თვე მატყუა ბ-მა ჩხეიძემ: დღეს-ხვალო, დაბოლოს იმედდაკარგულმა უკანვე მოვთხოვე ჩემ მიერ შეტანილი ფული, მაგრამ 1000 მანეთზე მეტი არ დამიბრუნა ბ-მა ჩხეიძემ, ჩხეიძემ ვამბობ, რადგანაც ამ „არტელს" ჩხეიძე ბატონ-პატრონობს. ის განაგებს, ის ითხოვს, ის იღებს თავის ნათლია-მიძაშვილებს სამსახურში, „აგარიშებებს" კი თავისებური ენა მლიქვნელობით ატყუებს. მარტო მე რომ ვიყო, ჯანი გავარდეს, მაგრამ ჩემისთანა მოტყუებული მისგან ათობით არის. ამ მოტყუილებით (ადგილის მიცემის დაპირებით) ჩხეიძეს თავის მიზნათ აქვს: შექმნას არტელის თანხა ამ 200 მანეთებით, შენი მდგომარეობა მას ფეხებზე ჰკიდია. მაგრამ რატომ არ ფიქრობს ბ-ნი ჩხეიძე ან სხვა თუ ვინმეა ამ არტელის გამგეობაში მის მეტი, რომ ასეთი საშუალებით, ჯერ სახელს უტეხავს ისედაც ნიადაგ მოუმზადებელ არტელს, და მეორეც, რატომ არ შედის ჩემს და ჩემისთანების მდგომარეობაში, რომლებიც დღეს მისი ხრიკების წყალობით ქუჩაში დახეტიალებენ უსაქმოდ? სად არის ადამიანური პასუხის მგებლობა? ბ-ნ ჩხეიძეს ეს არტელი თავისი საკუთარი ჯიბის გასასქელებლად დაარსდა, თუ რამე საზოგადოებრივი ინტერესებით?.. მაგრამ ამის შემდეგ ჩხეიძის პირადობა და საზოგადოებრივ მიზანს შორის დიდი უფსკრულია.

თომა მაჭავარიანი.

## პროვინცია

ცოტა რამ ს.ველისციხეზე.

ეს სოფელი მეტათ განსაკუთრებულ სოფლათ ჩაითვლება მთელ კახეთში, თავის მდებარეობით ხალხის სიმრავლით და აგრეთვე სიმდიდრით. აქ იშვიათად ნახავთ ღარიბ ოჯახს და კარგათ მდიდარს კი რამდენიც გნებავთ. აღნიშნულ სოფელში უმეტესობა სომხები არიან და ამით აიხსნება, რომ ვაჭრობა-აღებმიცემობა იქ გინვითარებულია, რომ თელავს და სიღნაღს არ ჩამოუვარდება. აგრეთვე მისდევენ მევენახეობას, რისთვისაც მეტათ კარგი ნიადაგია. დესეტინაზე კარგათ გაკეთებულ ვენახიდან გამოდის ათი ხუთმეტი საპალნემდის ღვინო. საერთოდ აქ ვენახებს სამაგალითოდ აკეთებენ. სწავლა-განათლებას ძალიან ნაკლებათ მისდევენ ქლიდარი ვაჭრები ან წვრილიან თავიანთ შვილებს წერა-კითხვას ანგარიშს და დახლში აყენებენ. საერთოდ კულტურულათ მეტათ ჩამორჩენილია ეს სოფელი, და იმით აიხსნება, რომ სრულებით ვერ ამჩნევენ იმ უარყოფითი მხარეებზე, რაც ამცირებს ადამიანის ღირსებას და მტრობს მის ჯანმრთელობას. ეს გახლავთ უსუფთაობა და სიბინძურე, რაც ასეთ მდიდარ სოფელს სრულიად უკარგავს ლაზათს, ამას გარდა ამ ნიადაგზე, ხშირი სტუმარია აიაანაირი გადამდები სენი, ხშირათ ის მუსრს ავლებს მცხოვრებლებს, ამის შესახებ აქ ლექსიც კია გამოთქმული: დალოცვილო ველისციხე, ცხება და კაცის ქარი ყელწვილები გაგიწყვიტა, ბებრებს დაუსია ცხვირი.

შუა ბაზარი ცენტრი სოფლისა მეტათ სიბინძურეში სცურავს. შუაგულ ბაზარში, სადაც სასტუმროებია, არის კარგათ მოზრდილი მოედანი. იმის მაგივრათ, რომ ამ მოედანზე იყოს ბაღი გაშენებული, რაც გასწმენდავს ჩამხრჩვალ ჰაერს და ბავშვებს საშუალებას მისცემს ზაფხულში სუფთა ჰაერზე ითამაშონ, ეს მოედანი გადაქცეულია ბაკათ. აქ იყიდება ურმებით მოტანილი შეშა, მასალა, ჰ გო და რაც გნებავთ. ირევა აყარებული საქონელი და იხრჩვება ყელთამდის სიბინძურეში. ეს იმ დროს, როცა გვერდზე იქვე სოფლის ნაპირას თვალუწვდენელი რიყე აქვთ, შიგ ბაზარში ხოცავენ ღორებს და სხვა ოთხფეხს, რაც მთლათ სისხლით ილებება ქუჩა. ყველა ეს საზიზღ შთაბეჭდილებას ახდენს ხამათ მოსულ ადამიანზედ და კვირობს, რომ მას ყურადღებას არავინ აქცევს. ჯერ ისევ ძველ დროს აპირებდნენ ამ ბაკის რიყეზედ გატანას, მაგრამ მოგეხსენებათ, მაშინ უგუბერნატოროთ არაფერი კეთდებოდა, ახლა კი ამის უფლება თემს აქვს და როც შეიძლება მალე უნდა გაწმინდოს ბაზარი სიბინძურისაგან. არავითარ საკლავს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ბაზარში. ბაკი უნდა იქმნას გადატანილი რიყეზედ და მოედანზე კი გაშენდეს ბაღი. იმედია თემის გამგეობა ამას დააჩქარებს, საქმეს მოაგვარებს და ბაზარსაც მისცემს სისუფთავის ელფერს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ამ სოფელში, როგორც ვთქვი უმეტესობა სომხები ცხოვრობენ. პირველ შეხედვით გეგონებათ აქ სომხები და ქართველები მოსისხლე მტრათ გადაქცეულან და სჭამენ ერთმანეთსო, მაგრამ თუ ახლო გაეცნობი საქმეს, სრულებით წინააღმდეგში დარწმუნდები. აქ არის ერთი ჯგუფი ორივე მხრიდან, რომლებიც ამღვრევენ წყალს და აღუძრებენ ნაციონალურ შუღლს. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული სოფლის ინტელიგენცია: ნამამასახლისარი, ნაწერალი, მასწავლებელი, პარაზიტათ გადაქცეული მემამულე, სპეკულიანტი და სხვა. აი ამათ ხელობათ გადაუქცევიათ მუდამ დღე ბაზარში აწარმოვონ ინტრიგა და თხზან ერთმანეთზე ჭორები. ამით ისინი თავს ირთობენ, განსაკუთრებით ესენი ატმოსფერას ზხამვენ და ცდილობენ თავიანთ ინტრიგის ფერხულში ჩაბმას მშრომელი ხალხისას. როცა რაიმე არჩევნები ხდება, თუ რომელიმე გაიძვერა ნამ მამასახლისარი არ აირჩიეს რამე თანამდებობაზედ, მორთავს ღრიალს თავის დამქაშებით—ნახეთ ქართველები როგორ გვდევნიანო? ასევე სჩადის მეორე მხარეც, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ, ხალხი შორს სდგა ამ ფუსქმო ვაჟბატონების ლაყბობისგან. თქვენ ვერ გაარჩევთ იმ მუშებს შორის სომეხ ქართველს, რომელთაც მოუყრიათ ერთათ თავი სათოხნელათ და საამოთ გუგუნებენ მუშურს. აქ ვერ გაარჩევ პირველს ან მოძახილს ვინ ამბობს—სომეხი თუ ქართველი. ერთი ენით, ერთი ზნე ჩვეულებით ერთი სიყვარულით გამსჭვალული მშრომელი ხალხი შორს სდგას თქვენი ინტრიგისაგან ბაზრის შოვინისტებო. რაც ადრე დაანებებთ მათი სახელით ლაპარაკს თავს, მით უკეთესი იქნება.

ხახო მაჭავარიანი.


## განცხადებანი

### იყიდება „სროტუჩიკი"

120 ვ და 110 ვ. მუდმივი საცვლელი ტოკით, ორპოლიუსიანი სხვადასხვა ამპერისა. (გადა პროტოკოლერით). იქვე აქვთ ფუფაიკები და საკუთარი წარმოების ჩულქები მისამართი: ერევნის მოედანი, თამამშევის ქარვასლა, შესასვლელი პუშკინის ქუჩით. ელექტრი ტახნიკური კანტორა მადიევისა. ნახვა დილის 9—2 საათ. საღამოს 4—6 საათ. (119—1—1)

### ოზურგეთში

იყიდება ხამოხახლო კუთხის მიწა. ბათუმის ქუჩისა და ბათუმის შესახვევში ზომით 414 კვ დ საჟ. ხეხილით მოშენებული ფასი კვადრატი საჟ 100 მან მისამართი: თბილისი იზმაილოვის შესახვევი № 6 გრიაზნოვი. ნახვა მოსალაპარაკებლად დილის 8—11-დე, საღამოს 5—8-დე (208—3—1)

### დაჰკარგე

სოც.-დემოკ. პარტიის საწევრო წიგნაკი № 384 მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სამ. ქ-ო კონსტანტინე მეთოდის ძე შუბლაძეს. (კუპ. 38—1—1)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

### გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ქლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 3230—თ.

### ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

### დაჰკარგე

სოციალ დემოკ. ტიული პარტიის წევრო წიგნაკი № 377 მნახველს ვთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სამიქაო კალისტრატე მელიტონის ძე ჯანველიძე. (კუპ. 39—1—1)

პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაფუძნ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ.
ხ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურ. და გენ. ავად. (სიფილისი).
ვ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. ბავშ.
მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად (სიფილ.) ხირურგ.
კარუკებ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორგ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ბორეცკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

ექიმი

### ნ. ლ. ცურიაშვილი

იღებს შინაგან, საშვილოსნო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

### ექიმი ე. მ. მგინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 18 (თ. 3065).

დოქტორი მედიცინის

### ა. ა. მონსე

სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით. ავადმყოფობანი კუჭისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10 1/2—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—3)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

### ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აუდიტორიის ახლოს.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისთვის
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
### „ნაკადული"
(წლიწადი მეთექვსმეტე)
ჟურნალს სცემს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. გამოდის გაფართოვებული პროგრამით ახლად მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის
ჟურნალი გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ
„ „ მოზრდილთათვის „ ერთჯერ
წლიურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან.
ცალ-ცალკე . . . 85 „
ნახევარი წლით . . . 90 „
მისამართი: თფილისი, „ნაკადულის" რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2, ტელეფონი № 7—56.
(ნ. 8—7)